

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი მიღებულ იქნა 2003 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2004 წელს. 2007 წლის 17 ნოემბერს WADA-მ დაამტკიცა შემუშავებული ცვლილებები რის შედეგადაც განახლებული მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი ძალაში შევა 2009 წლის 1 იანვრიდან.

ქართულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემულია:

საქართველოს ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის მიზნები, ამოცანები და სტრუქტურა.

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამისა და კოდექსის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

- დაიცვას სპორტსმენის ძირეული უფლება, მიღოს მონაწილეობა დოპინგისგან თავისუფალ შეჯიბრებში, ამ მიზნით პროპაგანდა გაუწიოს ჯანმრთელობას, სამართლიანობასა და თანასწორობას სპორტსმენთა შორის.
- შექმნას შეთანხმებული, კოორდინირებული და ეფექტური ანტიდოპინგური პროგრამები, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, რათა გამოააშკაროს, შეაჩეროს და თავიდან აიცილოს დოპინგის შემთხვევები.

კოდექსი

კოდექსი არის ძირეული და უნივერსალური დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა. მისი მიზანია ძირეული ელემენტების ურთიერთშერწყმის მეშვეობით დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. კოდექსი საკმაოდ კონკრეტულია იმ ასპექტებში, სადაც საჭიროა შეთანხმება დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობის მისაღწევად, ამავე დროს უნივერსალურია იქ სადაც საჭიროა გარკვეული მოქნილობა.

კომენტარი: 2007 წლის 7 ივლისის ოლიმპიური ქარტია და 2005 წლის UNESCO-ს კონვენცია აღიარებს რომ დოპინგის

წინააღმდეგ ბრძოლა არის ოლიმპიური კომიტეტისა და UNSECO-ს ერთერთი უმთავრესი ამოცანა.

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა

მსოფლიო ანტიდოპინგური პროგრამა შეიცავს ყველა საჭირო ელემენტს ანტიდოპინგური პროგრამების ორგანიზაციის, სამუშაო პრაქტიკის ჰარმონიზაციისა და დანერგვისათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეს ელემენტებია:

პირველი ეტაპი: კოდექსი

მეორე ეტაპი: საერთაშორისო სტანდარტები

მესამე ეტაპი: პრეცედენტი და გაიდლაინები

საერთაშორისო სტანდარტები

ანტიდოპინგური პროგრამის სხვადასხვა ტექნიკურ და პროცედურულ კომპონენტებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები შემუშავდება ხელის მომწერ მხარეებთან და მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ და მტკიცდება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA), მიერ. საერთაშორისო სტანდარტების შექმნის მიზანია ანტიდოპინგური პროგრამების ტექნიკურ და პროცედურულ ასპექტებზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგური ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის ჰარმონიზაცია. საერთაშორისო სტანდარტების მკაცრად დაცვა აუცილებელია. ხელისმომწერ მხარეებთან და მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, ისინი დრო და დრო შეიძლება გადასინჯულ იქნეს WADA-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. თუ კოდექსით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული, საერთაშორისო სტანდარტები და მათში შესული ცვლილებები ძალაში შედის ტექსტში მითითებულ ვადაში,

კომენტარი: საერთაშორისო სტანდარტები შეიცავს კოდექსის დანერგვისათვის საჭირო ბევრ დეტალს. ისინი მუშავდება ხელის მომწერი მხარეების, მთავრობების ექსპერტების მიერ ცალკე ტექნიკური დოკუმენტაციის სახით. მნიშვნელოვანია ის,

რომ საჭიროების შემთხვევაში WADA-ს აღმასრულებელ კომიტეტს, კოდექსში ცვლილებების შეტანის გარეშე, შეუძლია ცვლილებები შეიტანოს მოცემულ სტანდარტებში.

მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის ფუნდამენტალური დასაბუთება

ანტიდოპინგური პროგრამები მოწოდებულია დაიცვას ის, რაც მართლაც მნიშვნელოვანი და ფასეულია სპორტისათვის. ის, რასაც ხშირად სპორტულ სულს უწოდებენ და რაც ოლიმპიური მოძრაობის არსს წარმოადგენს. სპორტული სული – ადამიანის სულის ზეიმია, მას ახასიათებს შემდეგი ღირებულებები:

- ეთიკა, სამართლიანობა
- ჯანმრთელობა
- უბადლო ოსტატობა
- რეპუტაცია და კულტურა
- გართობა და სიამოვნება
- კოლექტიურობა
- თავდადება და ვალდებულების გრძნობა
- წესებისა და კანონების პატივისცემა
- საკუთარი თავისა და მეტოქეების მიმართ პატივისცემა
- მამაცობა
- ერთობა და სოლიდარობა

დოპინგი კი ძირეულად ეწინააღმდეგება სპორტულ სულს და სამართლიანი თამაშის პრინციპს.

დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელია, რომ ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და მოქმედებაში მოიყვანონ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები როგორც პროფესიონალ სპორტსმენთათვის, ასევე ახალგაზრდების და დამხმარე პერსონალისთვის

ნაწილი პირველი

დოპინგ-კონტროლი

შესავალი

კოდექსის პირველ ნაწილში გადმოცემულია სპეციფიკური ანტიდოპინგური წესები და პრინციპები, რომლებიც უნდა შეასრულონ საკუთარ სფეროში აღნიშნული წესების მიღებაზე, დანეგვასა და იძულებაზე პასუხისმგებელმა ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, უმსხვილესი საერთაშორისო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტები და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციები. ზემოთჩამოთვლილი ყველა ორგანიზაციები კრებითად მოიაზრებიან ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებად.

ოდექსის ყველა მუხლი ჯამში შესასრულებლად სავალდებულოა ნებისმიერი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის, სპორტსმენის ან სხვა პირისათვის. მიუხედავად ამისა კოდექსი არ გამორიცხავს ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ სხვა, დამატებითი წესების შემოღებას. კოდექსის მიერ დადგენილი ზოგიერთი წესი მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე უნდა შევიდეს ნებისმიერი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის დოკუმენტში, თუმცა გარკვეული ნაწილი აყალიბებს მისაღებად აუცილებელ პრინციპებს, რომელთა გამეორებაც აუცილებელი არაა და რომლებზე დაყრდნობითაც ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ შეიმუშაონ საკუთარი წესები.

კომენტარი: ყველა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის წესებში სავალდებულოდ შესატანი ნორმები მითითებულია 23.2.2 მუხლში. მაგალითად, სავალდებულოა რომ ყველა ორგანიზაცია გადაწყვეტილებას იღებდეს ანტი-დოპინგური წესების დარღვევის, ასევე მტკიცებულებათა საერთო სიიდან გამომდინარე, წესები უნდა იყოს საერთო იმის მიუხედავად თუ სად მიმდინარეობს საქმის განხილვა: ეროვნულ ფედერაციაში, თუ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში. ის წესები რომლებიც არაა ჩამოთვლილი 23.2.2 მუხლში, ასევე სავალდებულოა, თუმცა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს არ ევალებათ მათი პირდაპირ გადმოწერა თავიანთ დოკუმენტებში. ასეთი წესები ორ კატეგორიად იყოფა. პირველი ნაწილი მოუწოდებს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს

გარკვეული მოქმედებისაკენ მაგრამ მათი შეტანა თვითონ ამ ორგანიზაციათა წესებში არაა აუცილებელი. მაგალითად, ყველა ანტი-დოპინგური სტრუქტურა ვალდებულია ტესტირება ჩაატაროს მეხუთე პარაგრაფით გათვალისწინებული წესებით თუმცა ამ მუხლების შეტანა ორგანიზაციის წესებში სავალდებულო არაა. მეორე ნაწილი მიუთითებს გარკვეულ საზღვრებს, რომლის ფარგლებში მოქმედებაც თავისუფლად შეუძლიათ ორგანიზაციებს. მაგალითად, კოდექსი არ ითხოვს უდევების შეჯამებისა და საქმეთა განხილვის პროცედურებს იდენტურობას ყველა ორგანიზაციისათვის. ამისათვის სხვადასხვა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს განსხვავებული, მაგრამ ერთნაირად ეფექტური პროცედურები.

ისეთი ანტიდოპინგური წესები, როგორცაა საშეჯიბრო წესები, წარმოადგენენ ისეთ ნორმებს, რომელთაში ხედვითაც მიმდინარეობს უშუალოდ საშეჯიბრო პროცესი. სპორტსმენები აღიარებენ ამ წესებს, როგორც შეჯიბრში მონაწილეობის მიღებისათვის აუცილებელ პირობას. ველა ხელის მომწერმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ისეთი წესებისა და პროცედურების შემოღება, რომელთა შესრულებისას ამ სუბიექტის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ყველა ორგანიზაცია, სპორტსმენი თუ სხვა პირი ინფორმირებული იქნება არსებული „თამაშის წესების“ შესახებ და დაეთანხმება მათ.

მონაწილეებმა უნდა დაიცვან დაინტერესებული ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ კოდექსის მიხედვით მიღებული ყველა ანტიდოპინგური წესი. კოდექსის ხელისმომწერი ყველა მხარე ვალდებულია ჩამოაყალიბოს პროცედურები და წესები, რათა შეატყობინოს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ მონაწილეებს არსებული შეზღუდვების შესახებ და მოსთხოვოს მათ მიღებული წესების დაცვა.

კომენტარი: შესაბამისად თავისი სტატუსისა სპორტსმენები ვალდებული არიან დაიცვან წესები, მიღებული მათი სპორტის სახეობისათვის. ზუსტად ასევე, სპორტსმენები და მათი მთელი პერსონალი ვალდებულია კოდექსის 2-ე მუხლზე დაყრდნობით, წევრობაზე, აკრედიტაციაზე, სპორტულ ორგანიზაციებში ან სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის თაობაზე,

დაიცვან ანტიდოპინგური წესები. კოდექსის ხელმომწერი ყველა მხარე ვალდებულია, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ ყველა სპორტსმენი, მყოფი მისი გავლენის ქვეშ, აგრეთვე მთელი მათი პერსონალი გაეცნოს მოცემული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიმდინარე ანტიდოპინგურ წესებს.

მუხლი 1. დოპინგის ცნება

დოპინგად ითვლება ამავე კოდექსის 2.1-2.8 მუხლებით გათვალისწინებული ანტიდოპინგური წესების ერთი ან მეტი დარღვევა.

მუხლი 2 ანტიდოპინგური წესების დარღვევა

სპორტსმენი, ან მისი დამხმარე პერსონალი ვალდებულია იცოდეს, თუ რა არის ანტი-დოპინგური წესების დარღვევა და იცნობდეს აკრძალულ სიაში ჩამოთვლილ სუბსტანციებსა და მეთოდებს.

ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება:

კომენტარი: მეორე მუხლის მიზანია განსაზღვროს, თუ რა ითვლება ანტი-დოპინგური წესების დარღვევად. დოპინგთან

დაკავშირებული განხილვები წარიმართება ქვემოთ ჩამოთვლილი წესების დარღვევის მტკიცებით.

2.1. სპორტსმენისაგან აღებულ სინჯში აკრძალული სუბსტანციებისა ან მათი მეტაბოლიტების, ან მარკერების არსებობა.

2.1.1 ყოველი სპორტსმენის პერსონალური მოვალეობაა, არ დაუშვას აკრძალული სუბსტანციების მის ორგანიზმში მოხვედრა. სპორტსმენებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ ორგანიზმიდან აღებული სინჯში ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციის ან მისი მეტაბოლიტის, ან მარკერის აღმოჩენის შემთხვევაში. 2.1 მუხლით გათვალისწინებული შედეგის მისაღებად მნიშვნელობა არ აქვს განზრახვას, შეცდომას ან დაუდევრობას.

კომენტარი: კოდექსი აღიარებს ობიექტური პასუხისმგებლობის პრინციპს, მიღებულს ოლიმპიური მოძრაობის ანტიდოპინგური კოდექსით და სხვა ანტიდოპინგური წესების უმრავლესობით. ამ პრინციპის შესაბამისად, ანტიდოპინგური წესების დარღვევად ითვლება ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციების (მათი მეტაბოლიტების, ან მარკერების) აღმოჩენა სპორტსმენის ორგანიზმიდან აღებულ სინჯში. იგულისხმება, რომ დარღვევა ფიქსირდება მიუხედავად იმისა, განზრახ მიიღო თუ არა სპორტსმენმა აკრძალული სუბსტანცია, დაუდევრობით, თუ შეცდომით მოუვიდა მას ეს. თუ შეჯიბრების შემდეგ სპორტსმენისაგან აღებულ სინჯზე პასუხი დადებითია, მიღებული სპორტული შედეგი ავტომატურად ანულირდება (მუხლი 9 „ინდივიდუალური შედეგების ავტომატური ანულირება“). მაგრამ ამის შემდეგ სპორტსმენის მიმართ სანქციები შეიძლება

შემსუბუქდეს ან გაუქმდეს, თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ იგი უდანაშაულოა ან მისი დანაშაული უმნიშვნელოა (10.5 „სადისკვალიფიკაციო ვადის გაუქმება ან შემცირება განსაკუთრებული გარემოების გამო“).

იმ შემთხვევებში, როდესაც აკრძალული სუბსტანციები სპორტსმენის ორგანიზმში ხვდება მისი უდანაშაულობის ან დაუდევრობის გამო, ერთი მხრივ, ობიექტური პასუხისმგებლობის წესი, და მეორე მხრივ, სანქციების შერბილების შესაძლებლობა უზრუნველყოფს ბალანსს, ეფექტურ ანტიდოპინგურ იძულებასა და სამართლიანობას შორის. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფიქსირებული სადისკვალიფიკაციო ვადის დადგენა არ ხდება ავტომატურად, რადგან ობიექტური პასუხისმგებლობის პრინციპით ირკვევა, მოხდა თუ არა ანტიდოპინგური წესების დარღვევა

2.1.2. კოდექსის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ანტი-დოპინგური წესების დარღვევის საკმარის მტკიცებულებად ითვლება: სპორტსმენის A სინჯში აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა, როდესაც სპორტსმენი უარს ამბობს B სინჯის ანალიზზე, რომელიც ჩატარებული არ არის, ან ჩატარებულია და აღასტურებს აკრძალული ნივთიერების, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობას.

2.1.3 სპორტსმენის სინჯში, ნებისმიერი რაოდენობის აკრძალული სუბსტანციის, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის აღმოჩენა ითვლება ანტი-დოპინგური წესების დარღვევად. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სუბსტანციები, რომლებიც აკრძალულ სიაში შეტანილია დოზობრივი ფორმით.

2.1.4. მუხლი 2.1-ის საერთო წესებიდან, გამონაკლისის სახით, აკრძალულ სიაში შეიძლება იყოს დაწესებული სპეციალური კრიტერიუმები გამოყენებული აკრძალული სუბსტანციების აღმოსაჩენად, რომლებიც ორგანიზმში შეიძლება ენდოგენურად წარმოიშვან.

2.1.2 კომენტარი: ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს ჩაატაროს ბ

სინჯის ანალიზი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სპორტსმენი არ ითხოვს ამას.

2.2. აკრძალული სუბსტანციების ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, ან გამოყენების მცდელობა.

2.2.1. ყველა სპორტსმენის პირადი პასუხისმგებლობაა, არ მოხვდეს მის სხეულში აკრძალული ნივთიერება ან მეთოდი. ანტი-დოპინგური წესების დარღვევისთვის დადგენისას არ აქვს მნიშვნელობა დაფიქსირდა თუ არა სპორტსმენის მხრიდან შეგნებული მოქმედება, ბრალი ან დაუდევრობა.

2.2.2. არა აქვს მნიშვნელობა, აკრძალული სუბსტანციების ან აკრძალული მათოდების გამოყენებამ გამოიღო შედეგი, თუ არა. აკრძალული სუბსტანციების ან აკრძალული მეთოდების გამოყენება ან გამოყენების მცდელობა ითვლება წესების დარღვევად.

2.2 კომენტარი: მნიშვნელობა ტერმინისა - „გამოყენება“ მოცემულ კოდექსში შედარებით გაფართოებულია, ვიდრე ოლიმპიური მოძრაობის ანტიდოპინგური კოდექსის (ომადკ) დოპინგის განსაზღვრების ტექსტში. ახლა უკვე აუცილებლობას არ წარმოადგენს „გამოყენების აღიარების“ გამოყოფა, როგორც ანტიდოპინგური წესების ცალკეული დარღვევა. „გამოყენება“ უკვე შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად, მაგალითად, აღიარებით, მესამე მხარის დამოწმებით, ან სხვა სახით. „გამოყენების მცდელობის“ ბრალდება აუცილებლად მოითხოვს სპორტსმენის ჩანაფიქრის არსებობის დამტკიცებას. ის ფაქტი, რომ აკრძალული სუბსტანციების ან

აკრძალული მეთოდების გამოყენების ჩანაფიქრის არსებობა, მოითხოვს მტკიცებულებას, არ აუქმებს ობიექტური პასუხისმგებლობის შესახებ 2.1-ე მუხლში მიღებულ პრინციპს.

სპორტსმენის მიერ შეჯიბრისგან თავისუფალ პერიოდში აკრძალული სუბსტანციების გამოყენება, რომლის მიღებაც არ არის აკრძალული შეჯიბრებისგარეშე პერიოდში (არასაშეჯიბრო პერიოდში), არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

2.3. დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების შემდეგ, საპატიო მიზეზების გარეშე სპორტსმენის მიერ სინჯების ჩაბარებაზე უარის თქმა ან მათი არ წარმოდგენა.

კომენტარი: საპატიო მიზეზების გარეშე სპორტსმენის მიერ სინჯების ჩაბარებაზე უარის თქმა ან მათი არ წარმოდგენა, დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების შემდეგ იკრძალება თითქმის ყველა არსებული ანტიდოპინგური წესებით. მაგალითად, გარემოება, როდესაც სპორტსმენი თავს არიდებს ოფიციალურ პირებს, რომელთაც სურთ ჩაუტარონ მას

დოპინგ-კონტროლის პროცედურა, განიხილება, როგორც ანტიდოპინგური წესების დარღვევა. სინჯების ჩაბარებაზე უარის თქმა, ან მათი არ წარმოდგენა, დადგენილი წესით მიღებული შეტყობინების შემდეგ, შეიძლება იყოს როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი. სინჯების ჩაბარებისაგან თავის არიდება კი ყოველთვის ჩაითვლება განზრახ ქმედებად.

2.4 არსებული მოთხოვნების დარღვევა, არასაშეჯიბროპერიოდში სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არ წარმოდგენის და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში დადგენილი მორიგი ტესტირების (შემოწმების) გამოტოვების ჩათვლით. ასევე 8 თვის განმავლობაში უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ დადგენილი 3 ტესტის გამოტოვების ან ჩაგდების შემთხვევა ჩაითვლება ანტი-დოპინგური წესების დარღვევად.

კომენტარი: არანორმირებული შემოწმებები შეჯიბრებისგარეშე (არასაშეჯიბრო) პერიოდში წარმოადგენს დოპინგ-კონტროლის ეფექტურ და განუყოფელ ნაწილს. სპორტსმენის

ადგილსამყოფელის ზუსტი ინფორმაციის არ არსებობა, უბრალოდ შეუძლებელს ხდის ასეთი შემოწმებების ჩატარებას. მოცემული მუხლი, რომელიც აქამდე ჩვეულებრივ არ გეხვედებოდა ანტიდოპინგურ წესებში,

არასაშეჯიბრო შემოწმების ჩასატარებლად, წინმსწრები კონტროლისათვის სპორტსმენისაგან მუდმივად მოითხოვს მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. შესაბამისი მოთხოვნები სპორტის კონკრეტული სახეობისათვის დგინდება საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ანტიდოპინგური

ორგანიზაციების მიერ, იმიასთვის, რომ შეეწყონ სპორტის კონკრეტული სახეობისათვის და კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა გარემოებებს. აღნიშნული წესის დარღვევა შეიძლება მოხდეს როგორც განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით.

2.5 ფალსიფიკაცია ან ფალსიფიკაციის მცდელობა დოპინგ-კონტროლის ნებისმიერ სფეროში.

კომენტარი: აღნიშნული მუხლი კრძალავს ნებისმიერი მოქმედებას, რომელიც ხელს შეუშლის დოპინგ-კონტროლის პროცედურის შესრულებას, მაგრამ, არ ექცევა აკრძალული მეთოდების

სტანდარტული განსაზღვრების ქვეშ. მაგალითად, ამ მუხლით იკრძალება დოპინგ-კონტროლის დროს იდენტიფიკაციური ნომრების შეცვლა ან სინჯის შემცველი ქილის გატეხვა.

2.6 აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების ფლობა:

2.6.1 სპორტსმენის მიერ, ნებისმიერ დროს და ადგილას, ისეთი სუბსტანციის, ან მეთოდის ფლობა, რომლის გამოყენება აკრძალულია შეჯიბრებისგარეშე პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სუბსტანციის, ან მეთოდის გამოყენება ხდება 4.4 მუხლით გათვალისწინებული ნებართვით თერაპიულ გამოყენებაზე, ან სხვა საპატიო მიზეზით.

2.6.2 სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ სპორტსმენთან, შეჯიბრთან ან ვარჯიშთან კავშირში, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე აკრძალული სუბსტანციის ფლობა, ან აკრძალული მეთოდის გამოყენება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული სუბსტანციების გამოყენება ხდება 4.4 მუხლის საფუძველზე გაცემული თერაპიული გამოყენების ნებართვის საფუძველზე (თერაპიული გამოყენება), ან სხვა საპატიო მიზეზით.

2.7 ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციისა და აკრძალული მეთოდის გავრცელება.

2.8 სპორტსმენისათვის ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციისა და აკრძალული მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა, ასევე არასაშეჯიბრო პერიოდში ისეთი ნივთიერების ან მეთოდის დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა რომელიც იკრძალება არასაშეჯიბრო პერიოდში. ასევე ხელის შეწყობა, შეგულიანება, დახმარება, წაქეზება, ხელის დაფარება და სხვა ნებისმიერი სახის მონაწილეობის მიღება ანტიდოპინგური წესების დარღვევაში, ან დარღვევის მცდელობაში.

მუხლი 3. დოპინგის მტკიცებულებები

3.1 მტკიცების ტვირთი და სტანდარტები

ანტი-დოპინგური წესების დარღვევისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას. სტანდარტების მტკიცებულების კრიტერიუმად ითვლება ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, საქმის განმხილველი

ორგანიზაციის მისაღებ დონეზე, წამოყენებული ბრალდებების სერიოზულობის მხედველობაში მიღებით, ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენა. მტკიცებულების ეს კრიტერიუმი, ყველა შემთხვევაში, უფრო ძლიერია, ვიდრე ალბათობის უბრალო ბალანსი, მაგრამ ნაკლებად ძლიერი, ვიდრე მტკიცებულება ყოველგვარი ეჭვის გარეშე. როდესაც კოდექსი ანტი-დოპინგური წესების დადგენაში ეჭვმიტანილ სპორტსმენს, ან სხვა პირს აკისრებს ვალდებულებას, უარყოს პრეზუმპცია, დაადასტუროს ფაქტი ან გარემოება, მტკიცებულების კრიტერიუმს ალბათობის ბალანსი წარმოადგენს. გამონაკლისი შემთხვევები გათვალისწინებულია 10.4 და 10.6 მუხლებში, სადაც სპორტსმენმა უნდა წარმოადგინოს უფრო მაღალი რანგის მტკიცებულებები.

3.1 კომენტარი: ანტიდოპინგური დარღვევებთან დაკავშირებული საქმეების ორგანიზაციის მიერ მიღებული განხილვის დროს, ასევე დოპინგთან მტკიცებულების მოცემული კრიტერიუმი, დაკავშირებული საქმეების მოსმენის დროს, შეესაბამება მსოფლიოს ქვეყნების მგალითად: CAS-ის გადაწყვეტილება „ J., უმრავლესობის მიერ აღიარებულ Y., W.v FINA. CAS 98/208,22 December 1998 კრიტერიუმს, რომელიც ფართოდ გადაწყვეტილების გამოტანის დროს გამოიყენებოდა პროფესიონალურ

3.2. ფაქტებისა და პრეზუმპციების დადგენის მეთოდები:

ანტი-დოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენა დასაშვებია ნებისმიერი სარწმუნო საშუალებით, მათ შორის აღიარებით. დოპინგთან დაკავშირებულ საქმეებში მისაღებია მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგი წესები:

კომენტარი: მაგალითად WADA-მ შეიძლება დაადასტუროს 2.2 მუხლით დათვალისწინებული ანტი-დოპინგური წესების დარღვევა სპორტსმენის აღიარების, ა სინჯის ანალიზის, სარწმუნო დოკუმენტური მასალის და მესამე პირთა ჩვენების შედეგად.

3.2.1. მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ აკრედიტირებულია ლაბორატორიებმა სინჯების შენახვა და მათი ანალიზი და უნდა აწარმოონ ლაბორატორიული ანალიზების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში სპორტსმენს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ტესტირების დადებითი შედეგი გამოწვეული იყო დადგენილი სტანდარტების დარღვევით.

თუ სპორტსმენი არ აღიარებს დარღვევის ფაქტს, იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას, ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ანალიზზე დადებითი პასუხი არ არის გამოწვეული აღნიშნული სტანდარტების დადგენით.

3.2.2. საერთაშორისო სტანდარტების დაუცველობა, რომელმაც არ გამოიწვია ანალიზზე დადებითი პასუხი, ან ანტიდოპინგური წესების სხვა დარღვევა, არ აბათილებს მოცემულ შედეგს. თუ სპორტსმენი გამოავლენს საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას ტესტირების დროს, ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მოცემულმა გადაცდომამ არ გამოიწვია ანალიზზე დადებითი პასუხი ან არ შექმნა ანტი-დოპინგური წესების დარღვევის საფუძველი.

3.2.1 კომენტარი: სპორტსმენი ვალდებულია წარმოადგინოს საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის მტკიცებულებები. თუ სპორტსმენი წარმოადგენს ასეთ მტკიცებულებებს, მაშინ ანტიდოპინგურ ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ

აღნიშნული კანონის დაუცველობამ არ შეცვალა ტესტირების შედეგი.

მუხლი 4. აკრძალული სია

4.1 აკრძალული სიის გამოცემა და გადახედვა

ყოველწლიურად, ან საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიო ანტიდოპინგურმა სააგენტომ (WADA), საერთაშორისო სტანდარტის სახით, უნდა გამოაქვეყნოს აკრძალული სია. აკრძალული სიის შემოთავაზებული შინაარსი და ყველა მისი ცვლილება წერილობითი სახით გადაეცემა ხელისმომწერ მხარეებსა და მთავრობებს კომენტარებისა და კონსულტაციებისათვის. აკრძალული სიის ყოველწლიური ვერსია და მისი ყველა ცვლილება მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ დროულად მიეწოდება ხელის მომწერ მხარეებსა და მთავრობებს და გამოქვეყნდება WADA-ს ვებ-გვერდზე. ხელის მომწერი მხარე ვაძლევს, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა აკრძალული სია მიაწოდოს მის ყველა წევრსა და მარწმუნებელს. ყველა ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესები უნდა შეიცავდეს პუნქტს იმის შესახებ, რომ თუ სიაში, ან მის ცვლილებებში სხვა რამ არ არის მითითებული, აკრძალული სია, ან ცვლილებები ძალაში შედის ანტიდოპინგური ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად, WADA-ს მიერ მათი გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ.

4.1 კომენტარი: აკრძალულ სიაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს აუცილებლობის შემთხვევაში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა შეტანილი სიაში ცვლილებები, ახალი ვერსია გამოიცემა ყოველწლიურად. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრაქტიკაში დამკვიდრდა ახალი სიის იანვარში გამოქვეყნების პრაქტიკა, რათა არ წარმოიქმნას ახრთა სხვადასხვაობა იმასთან

დაკავშირებით, თუ სიის რომელი ვერსიაა უფრო ახალი. WADA-ს ვებ-გვერდზე ყოველთვის შეიძლება აკრძალული სიის მიმდინარე ვერსიის ნახვა. აკრძალული სია არის UNESCO-ს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის განუყოფელი ნაწილი და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების შესახებ WADA-მ უნდა აცნობოს UNESCO-ს გენერალურ დირექტორს.

4.2. აკრძალულ სიაში მითითებული აკრძალული სუბსტანციები და მეთოდები

4.2.1. აკრძალული სუბსტანციები და მეთოდები

აკრძალული სია უნდა შეიცავდეს ისეთი აკრძალულ სუბსტანციებსა და მეთოდებს, რომელთა გამოყენება იკრძალება ყოველთვის (როგორც შეჯიბრების, ისე შეჯიბრების გარეშე პერიოდში), მათ შესაძლებლობის გამო გააუმჯობესონ ფიზიკური ფორმა მოსალოდნელ სპორტულ შეჯიბრებაზე ან შენიღბონ აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების გამოყენების ფაქტი. სია ასევე უნდა შეიცავდეს ისეთ სუბსტანციებსა და მეთოდებს, რომლებიც აკრძალულია მხოლოდ შეჯიბრების პერიოდში. საერთაშორისო ფედერაციების რეკომენდაციით აკრძალული სია შეიძლება გაფართოვდეს მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ (WADA) სპორტის კონკრეტული სახეობისათვის. აკრძალული სუბსტანციები და აკრძალული მეთოდები შეიძლება შევიდნენ აკრძალული სიის რომელიმე საერთო კატეგორიაში (მაგალითად, ანაბოლური აგენტები), ან რომელიმე სპეციალურ სიაში.

4.2 კომენტარი: არსებობს მხოლოდ ერთი აკრძალული სია. სუბსტანციებში, რომელთა გამოყენებაც აკრძალული იქნება ყოველთვის,

უნდა შედიოდეს შემნიღბველი აგენტები, აგრეთვე სუბსტანციები, რომელთა მოქმედებაც გრძელვადიანია, მაგალითად,

ანაბოლური პრეპარატები. აკრძალულ სიაში მითითებული ყველა სუბსტანციისა და მეთოდის გამოყენება იკრძალება შეჯიბრების პერიოდში. შეჯიბრების და არასაშეჯიბრო პერიოდში აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების კლასიფიცირება გადმოტანილია ოლიმპიური მოძრაობის ანტიდოპინგური კოდექსიდან.

არსებობს ერთადერთი დოკუმენტი, სახელწოდებით – ”აკრძალული სია”. მხოლოდ WADA-ს შეუძლია შეიტანოს სიაში სხვადასხვა სუბსტანციები და მეთოდები, რომლებიც იკრძალება რომელიმე კონკრეტული სპორტის სახეობაში მაგრამ ესეც აისახება ერთადერთ აკრძალულ სიაში. საერთო სიის არსებობა თავიდან

აგვაცილებს გაუგებრობას იმასთან დაკავშირებით, თუ სპორტის რომელი სახეობაში, რომელი სუბსტანცია იკრძალება. სპორტის ინდივიდუალური სახეობისათვის არ იქნება არანაირი გამონაკლისი აკრძალული სუბსტანციების ძირითადი სიიდან (მაგ., აკრძალული სიიდან “გონებრივი” სპორტის სახეობისათვის ამოღებული იქნეს ანაბოლური პრეპარატები). ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს ისეთი დოპინგური აგენტების არსებობა, რომლებიც არ უნდა მიიღოს ადამიანმა, თუ ის თავს სპორტსმენად თვლის.

4.2.2. განსაზღვრული სუბსტანციები

მეთე პარაგრაფის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა სუბსტანცია, გარდა ანაბოლური აგენტების, ჰორმონების, სტიმულანტების, ჰორმონ ანტაგონისტების და მოდულატორების კლასისა უნდა განისაზღვროს როგორც სუბსტანცია. აკრძალული მეთოდე არ უნდა განისაზღვროს როგორც სუბსტანცია.

4.2.3. აკრძალულ სუბსტანციათა ახალი კატეგორიები

4.1 მუხლზე დაყრდნობით ამჟამად WADA აფართოვებს აკრძალულ სიას ახალი კატეგორიის სუბსტანციებით. WADA-ს აღმასრულებელი კომიტეტი გადაწყვეტს შეიტანოს თუ არა აკრძალულ სიაში, კლასში შემავალი ყველა სუბსტანცია.

4.3. აკრძალულ სიაში სუბსტანციებისა და მეთოდების შეტანის კრიტერიუმები.

სუბსტანციის ან მეთოდის აკრძალვის საკითხის გადაწყვეტისას WADA ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

4.3.1. WADA სუბსტანციის ან მეთოდის აკრძალულ სიაში შეტანის საკითხს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ნებისმიერ ორ კრიტერიუმს შემდეგი სამიდან:

4.3.1.1. სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მონაცემები, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება, დამადასტურებელი იმისა, რომ აღნიშნული სუბსტანცია აუმიჯობესებს სპორტულ შედეგებს ან შეუძლია მათი გაუმჯობესება.

კომენტარი: არსებობს სუბსტანციები, რომლებიც არ იწვევენ ჩამოთვლილ შედეგებს მარტო გამოყენებისას, მაგრამ სიაში შეტანილი არიან იმის გამო, რომ შეუძლიათ ზემოთხსენებული შედეგის მოტანა სხვა სუბსტანციასთან ერთად

გამოყენების შემთხვევაში. ასეთ ნივთიერებები შესაბამისად იკრძალება მხოლოდ იმ ნივთიერებებთან კომბინაციაში, რომლებთან ერთადაც შეუძლიათ აკრძალული შედეგის მოტანა.

4.3.1.2. სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მონაცემები, ფარმაკოლოგიური ეფექტი ან გამოცდილება, დამადასტურებელი იმისა, რომ აღნიშნული სუბსტანცია ან

მეთოდი წარმოადგენს ფაქტიურ ან პოტენციურ საფრთხეს სპორტსმენის ჯანმრთელობისათვის.

4.3.1.3. WADA თვლის, რომ აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის გამოყენება ეწინააღმდეგება სპორტულ სულს, რაზეც ნათქვამი იყო შესავალში.

4.3.2. სუბსტანცია ან მეთოდი მაშინაც უნდა შევიდეს აკრძალულ სიაში, თუ WADA განსაზღვრავს, რომ არსებობს სამედიცინო ან სხვა მეცნიერული მონაცემები, ფარმაკოლოგიური ეფექტი, ან გამოცდილება, დამადასტურებელი იმისა, რომ აღნიშნულ სუბსტანციას ან მეთოდს შეუძლია შენიღბოს სხვა აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის გამოყენების კვალი.

4.3.2 კომენტარი: სუბსტანცია ან მეთოდი განიხილება აკრძალულ სიაში შეტანის მიზნით, თუ იგი წარმოადგენს შემნიღბავ აგენტს ან პასუხობს ორ კრიტერიუმს შემდეგი სამიდან: 1) შეუძლია გააუმჯობესოს ან აუმჯობესებს სპორტულ შედეგებს; 2) წარმოადგენს პოტენციურ ან რეალურ საშიშროებას ჯანმრთელობისათვის; 3) მისი გამოყენება ეწინააღმდეგება სპორტულ სულს. არც ერთი ამ სამი კრიტერიუმიდან ცალკე აღებული არ არის საკმარისი აკრძალულ სიაში სუბსტანციის შესატანად. მაგალითად, საკვებში ხორცისა და ნახშირწყლების გამოყენება, ფიზიკური და მენტალური ვარჯიში დიდ სიმძლავრეზე მთლიანად აკმაყოფილებს პირველ კრიტერიუმს. მეორე კრიტერიუმს შეესაბამება, მაგალითად, მოწვევა. ასევე არამართებული

იქნებოდა, ერთდროულად სამივე კრიტერიუმის დაკმაყოფილების მოთხოვნა. მაგალითად: გენების გადანერგვის ტექნოლოგიის გამოყენება, სპორტული მანქანების არსებითად გაუმჯობესების მიზნით, აკრძალული უნდა იყოს, მიუხედავად იმისა უქმნის თუ არა საფრთხეს ჯანმრთელობას, რადგან იგი ეწინააღმდეგება სპორტულ სულს. ასევე ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში სუბსტანციის გამოყენება, იმ იმედით რომ რომ ის გააუმჯობესებს სპორტულ შედეგს ეწინააღმდეგება სპორტულ სულს მიუხედავად იმისა, მიიღება თუ არა სასურველი შედეგი. ოველ წელს მხარეები, სახელმწიფოები და სხვა დაინტერესებული პირები ახალ ინფორმაციას აწვდიან WADA-ს აკრძალული სიის შინაარსთან დაკავშირებით.

4.3.3. WADA-ს გადაწყვეტილება ამა თუ იმ სუბსტანციის ან მეთოდის აკრძალულ სიაში შეტანასთან დაკავშირებით საბოლოოა და არ შეიძლება გახდეს განხილვის საგანი სპორტსმენის ან სხვა პირის მხრიდან, იმაზე დაყრდნობით, რომ მოცემული სუბსტანცია, ან მეთოდი არ წარმოადგენს შენიღბულ აგენტს, არ შეუძლია გააუმჯობესოს სპორტული შედეგები, არაა სახიფათოა ჯანმრთელობისათვის, ან არ ეწინააღმდეგება სპორტულ სულს.

კომენტარი: არ შეიძლება სადაო გახდეს საკითხი იმასთან დაკავშირებით, გამოიწვია თუ არა კონკრეტული სუბსტანციის ან მეთოდის გამოყენებამ სპორტული შედეგის

გაუმჯობესება. ადამწვევტ ფაქტორად ითვლება უშუალოდ გამოყენების ფაქტი და არა მიღებული შედეგი.

4.4. თერაპიული გამოყენება.

WADA- მიღებული აქვს სუბსტანციების თერაპიული გამოყენებისათვის განკუთვნილი გამონაკლისების საერთაშორისო წესები.

ყოველი საერთაშორისო ფედერაცია ვალდებულია საერთაშორისო დონის სპორტსმენები, ან სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში და რომლებსაც აქვთ დასაბუთებული სამედიცინო ჩვენებები აკრძალული სუბსტანციების ან აკრძალული მეთოდების გამოყენების

შესახებ, უზრუნველყოს შესაძლებლობით, მოითხოვონ სუბსტანციების ან მეთოდების თერაპიული გამოყენებისათვის გამონაკლისის დაშვება. ყველა ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ყველა თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სპორტსმენი (არა საერთაშორისო დონის), საშუალებით, შეიტანონ სამედიცინო ჩვენებებით დასაბუთებული მოთხოვნა აკრძალული სუბსტანციების, ან აკრძალული მეთოდების თერაპიული მიზნით გამოყენებისათვის გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით. ასეთი მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს თერაპიულ გამოყენებაზე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ინფორმაცია WADA-ს, თერაპიული გამოყენებისათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საერთაშორისო დონის სპორტსმენებისა და ეროვნული დონის იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც შეყვანილი არიან მათ ეროვნულ ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების მონაცემთა ბაზაში.

WADA-ს შეუძლია თავისი ინიციატივით გადახედოს ყველა საერთაშორისო და ეროვნული დონის იმ სპორტსმენზე გაცემულ თერაპიული გამოყენების ნებართვას, რომლებიც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში არიან ჩართული. უარის შემთხვევაში, ამ კატეგორიის ნებისმიერი სპორტსმენის მოთხოვნით, WADA-ს შეუძლია გადახედოს ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილებას. თუ WADA დაადგენს, რომ გაცემული თანხმობა ან უარი არ შეესაბამება თერაპიული გამოყენების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებს, მას შეუძლია ასეთი გადაწყვეტილება შეცვალოს.

იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ადგილას, საერთაშორისო ფედერაციას არ აქვს საშუალება, განიხილოს განცხადება, საერთაშორისო კატეგორიის სპორტსმენს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს WADA-ს

აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის ორგანიზმში არსებობა, მისი გამოყენება, ან გამოყენების მცდელობა, ფლობა, გამოწერა, დანიშნა ან მისი მცდელობა არ ჩაითვლება ანტი-დოპინგური წესების დარღვევად დადგენილი სტანდარტებით გაცემული თერაპიული გამოყენების ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

4.5. მონიტორინგის პროგრამა.

WADA მხარეებთან და მთავრობებთან კოსულტაციების შემდეგ შეიმუშავებს მონიტორინგის პროგრამას იმ სუბსტანციებისათვის, რომლებიც არ შედიან აკრძალულ სიაში, მაგრამ WADA-ს აზრით სასურველია მათზე თვალყურის დევნება, რათა არ მოხდეს მათი ბოროტად გამოყენება. ნებისმიერი ტესტირების პროცედურის წინ WADA აქვეყნებს ასეთი სუბსტანციების სიას. ლაბორატორიები პერიოდულად მიაწვდიან ინფორმაციას WADA-ს ასეთი სუბსტანციების დაფიქსირების შემთხვევების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ თუ რომელ სპორტის სახეობაში იქნა დაფიქსირებული ზემოთაღნიშნული ტიპის სუბსტანცია, მოხდა ეს შეჯიბრების თუ არასაშეჯიბრო პერიოდში. ასეთი ანგარიშები არ უნდა შეიცავდეს არანაირ დამატებით ინფორმაციას კონკრეტული სინჯების შესახებ. WADA სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ, აწვდის საერთაშორისო ფედერაციებსა და ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს სტატისტიკურ ინფორმაციას ამ სუბსტანციების გამოყენების შესახებ სპორტის კონკრეტული სახეობების მიხედვით. WADA ასევე პასუხისმგებელია, არ გაახმაუროს ინფორმაცია კონკრეტულ სპორტსმენებზე, რომლებმაც გამოიყენეს ასეთი სუბსტანციები. ინფორმაცია, აკრძალული

სუბსტანციების ან მეთოდების გამოყენების შესახებ არ ითვლება ანტი-დოპინგური წესების დარღვევად.

მუხლი 5 ტესტირება

5.1. ტესტირების ჩატარების გეგმა.

ყველა ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს იურისდიქცია მის ქვეყანაში მყოფ ყველა სპორტსმენზე, ასევე ამ ქვეყნის რეზიდენტ სპორტსმენებზე, ლიცენზიის მფლობელებზე და ამ ქვეყნის სპორტული ორგანიზაციის წევრ სპორტსმენებზე. ვეღა საერთაშორისო ფედერაციას იურისდიქცია უნდა ჰქონდეს მის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრზე მოასპარეზე სპორტსმენებზე და ეროვნული ფედერაციის სპორტსმენებზე. ყველა სპორტსმენი ვალდებულია დაემორჩილოს მასზე იურისდიქციის მქონე ორგანიზაციას. სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან კოორდინირებული მოქმედებით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ შემდეგნაირად :

5.1.1 დაგეგმონ და ჩაატარონ ტესტების საჭირო რაოდენობა, როგორც შეჯიბრების, ისე არასაშეჯიბრო პერიოდში. თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ, სპორტის მათ სახეობაში, საერთაშორისო დონის სპორტსმენებისათვის უნდა შექმნას მონაცემთა ბაზა, ხოლო თითოეულმა ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მათი ქვეყნის სპორტსმენებისათვის უნდა შექმნას მონაცემთა ეროვნული ბაზა, რომელშიც უნდა შევიდნენ, როგორც ქვეყნის საერთაშორისო დონის სპორტსმენები, ასევე ეროვნული დონის სხვა სპორტსმენებიც. თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს ასეთი სპორტსმენების ტესტირება, როგორც შეჯიბრის, ასევე არასაშეჯიბრო პერიოდებში.

5.1.2 გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ყველა არასაშეჯიბრო ტესტირება უნდა განხორციელდეს წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

5.1.3 პრიორიტეტული გახადოს მიზნობრივი ტესტირება

5.1.4 ჩაუტაროს ტესტირება დისკვალიფიცირებულ ათლეტებს.

5.1.3 კომენტარი : მიზნობრივი ტესტირება გამოიყოფა ცალკე, რადგან ამორჩევითი (შემთხვევითი) ტესტირება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ტესტირება ნამდვილად ჩაუტარდება ყველა იმ სპორტსმენს რომლისგანაც სინჯების აღება აუცილებელია (მაგალითად, მსოფლიო კლასის სპორტსმენები; სპორტსმენები, რომელთა შედეგებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკლე დროში; სპორტსმენები, რომელთა მწვერთვებსაც უკვე ჰყავდათ

დოპინგ-კონტროლის დადებითი შედეგების მქონე სპორტსმენები და ა.შ.). ცხადია, რომ მიზნობრივი ტესტირება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ლეგიტიმური დოპინგ-კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული კოდექსის მიზანია გააგებინოს სპორტსმენებს, რომ ტესტირება არ ტარდება მხოლოდ ამორჩევითი მეთოდით, ამავე დროს არაა აუცილებელი, რომ იგი შეიცავდეს რაიმე კონკრეტულ ეჭვის ფაქტორს.

5.2 ტესტირების სტანდარტები.

შესაბამისი იურისდიქციის მქონე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა ტესტირება უნდა ჩაატარონ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

5.3 სპორტსმენების დაბრუნება აქტიურ სპორტში

ყველა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს წესები იმ სპორტსმენებთან დაკავშირებით, რომლებმაც დისკვალიფიკაციის ან სასჯელის გარეშე დაანებეს თავი აქტიურ სპორტს, თუმცა სურთ დაბრუნება.

მუხლი 6. სინჯების ანალიზი.

დოპინგ-კონტროლისთვის სინჯების ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

6.1 ლაბორატორიები

2.1 მუხლის ინტერესებიდან გამომდინარე, დოპინგ-კონტროლისათვის სინჯების გამოკვლევა ხორციელდება მხოლოდ WADA-ს მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიებში, თუ WADA-ს მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. აღებული სინჯების ანალიზისათვის WADA-ს მიერ აკრედიტებული კონკრეტული ლაბორატორიის ამორჩევა ხდება იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ანალიზის შედეგზე.

კომენტარი: 2.1 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტის დადგენისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ WADA-ს მიერ აკრედიტებული ან მის მიერ სპეციალურად უფლებამოსილი

ლაბორატორია. სხვა მუხლების დარღვევასთან დაკავშირებული ანალიზები შეიძლება გაკეთებულ იქნას სხვა საიმედო ლაბორატორიაშიც.

6.2. სინჯების აღებისა და ანალიზის მიზნები

დოპინგ-კონტროლისათვის სინჯების შესწავლა უნდა ხდებოდეს მათში აკრძალულ სიაში მითითებული სუბსტანციებისა და მეთოდების, აგრეთვე WADA-ს მიერ, 4.5 მუხლზე დაყრდნობით (მონიტორინგის პროგრამა), მითითებული სუბსტანციების აღმოჩენის მიზნით. ასევე იმისათვის, რათა დახმარება გაეწიოს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას სპორტსმენის შარდში, სისხლსში, ან სხვა შემცველში არსებული მდგომარეობის გამოკვლევაში.

კომენტარი : მაგალითად მიზანი შეიძლება იყოს კოდექსის 2.2 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოვლენა

(აკრძალული სუბსტანციის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა).

6.3. სინჯების გამოკვლევა

სპორტსმენის წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია სინჯის სხვა მიზნებისათვის გამოყენება, გარდა 6.2 მუხლში მითითებული მიზნებისა. სხვა მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევაში სინჯს უნდა გაუშქმდეს ყოველგვარი იდენტიფიკაციის ნიშანი.

6.4. სინჯების ანალიზისა და დასკვნის სტანდარტები

ლაბორატორიების მიერ სინჯების ანალიზი და დასკვნების წარმოდგენა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს ლაბორატორიული ანალიზების შესახებ.

6.5 სინჯების ხელახალი ტესტირება

6.2 მუხლის ინტერესებიდან გამომდინარე, სინჯის ამდები ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ან WADA-ს მოთხოვნის საფუძველზე, დასაშვებია სინჯის ხელახალი ანალიზი. ხელახალი ტესტირების გარემოებები და პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ტესტირების შესახებ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

კომენტარი: ეს ახალი მუხლია. ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს ყოველთვის ქონდათ ხელახალი ანალიზის ჩატარების უფლება. ლაბორატორიების შესახებ

საერთაშორისო სტანდარტი და ახალი ტექნიკური დოკუმენტი (რომელიც წარმოადგენს სტანდარტის ნაწილს) ხელს შეუწყობს ამ უფლების განმტკიცებას.

მუხლი 7. შედეგების დამუშავება

ყოველი ანტიდოპინგური ორგანიზაცია, რომელიც ამუშავებს შედეგებს, ვალდებულია ანტიდოპინგური წესების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში შეიმუშავოს მოსმენისწინა პროცედურები, რომლებიც ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

7 კომენტარი: სხვადასხვა ხელისმომწერმა მხარეებმა შეიმუშავეს ანალიზის არასასურველი შედეგის შემთხვევაში შედეგების დამუშავების საკუთარი მეთოდები. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მეთოდების ასეთმა სიუხვემ ხელი შეუშალა ერთიანობის მიღწევას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ასეთი

მიდგომა სამართლიანი და ეფექტურია. კოდექსი არ შეიცავს მკაცრ მოთხოვნებს შედეგების დამუშავების მეთოდებითან დაკავშირებით, მაგრამ მოცემული მუხლი შეიცავს ძირეულ პრინციპებს, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მეთოდები.

7.1. ტესტის პოზიტიური პასუხის საწყისი შემოწმება

თუ ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში მიღებულ იქნა პოზიტიური პასუხი, აუცილებლად უნდა შემოწმდეს: ა) იყო თუ არა გაცემული ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე; ბ) ქონდა თუ არა ადგილი ანალიზის ჩატარებისას საერთაშორისო სტანდარტების ისეთ დარღვევას, რომელმაც გავლენა მოახდინა ტესტირების შედეგებზე.

7.2. საწყისი შემოწმების შემდგომი შეტყობინება

თუ ანალიზის არასასურველი შედეგის საწყისმა შემოწმებამ არ გამოავლინა საერთაშორისო სტანდარტების ისეთი დარღვევა, რომელიც გავლენას მოახდენდა ტესტირების შედეგებზე და სინჯის ჩამბარებულ სპორტსმენზე არ იყო გაცემული ნებართვა თერაპიულ გამოყენებაზე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა აცნობოს სპორტსმენს შემდეგი: ა) ტესტირების პოზიტიური პასუხის არსებობა; ბ) დარღვეული ანტიდოპინგური წესი, ან 7-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გაუგზავნოს შეტყობინება

ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენის მიზნით, დამატებითი გამოკვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით; გ) სპორტსმენის უფლება, დაუყოვნებლივ მოითხოვოს „ბ“ სინჯის ანალიზი (მოთხოვნის არ არსებობის შემთხვევაში „ბ“ სინჯის ანალიზი არ ჩატარდება);

დ) ანალიზის მოთხოვნის შემთხვევაში, სპორტსმენის ან/და მისი წარმომადგენლის უფლება, დაესწროს „ბ“ სინჯის გახსნას და ანალიზს. ე) ბ სინჯის ანალიზის შემთხვევაში, ინფორმაცია მისი ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ. ვ) სპორტსმენის უფლება, მოთხოვოს მისთვის ლაბორატორიული ანალიზების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული „ა“ და „ბ“ სინჯების ანალიზის დოკუმენტაციის ასლები. არსებული პასუხის შესახებ ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ ასევე უნდა შეატყობინოს 14.1.2 მუხლით გათვალისწინებულ სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებს. თუ ტესტის ჩამტარებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია არ ჩათვლის დადებით პასუხს ანტი-დოპინგური წესების დარღვევად, მან ამის შესახებაც უნდა შეატყობინოს 14.1.2. მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

7.3. ატიპიური შედეგების განხილვა

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ლაბორატორიები ვალდებული არიან მოახსენონ სინჯში ისეთი აკრძალული ნივთიერებების არსებობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა ენდოგენურადაც წარმოიშვან. ა სინჯის ანალიზისას ატიპიური შედეგის მიღების შემთხვევაში, შედეგებზე პასუხისმგებელმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს: ა) არსებობდა თუ არა თერაპიული გამოყენების ნებართვა, ბ) ხომ არ ქონდა ადგილი ტესტირების, ან ლაბორატორიების შესახებ დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების ისეთ დარღვევას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ატიპიური ჩვენება. თუ არსებული საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა არ დადასტურდა, ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს გამოძიება არსებულ შედეგთან დაკავშირებით. გამოძიების დასრულების შემდეგ, სპორტსმენს და 14.1.2 მუხლით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს უნდა გაეგზავნოთ შეტყობინება, ჩაითვალოს თუ არა მოცემული ატიპიური ჩვენება ტესტირებაზე დადებით პასუხად. სპორტსმენს შეტყობინება უნდა გაეგზავნოს 7.2 მუხლით გათვალისწინებული წესით.

7.3.1. ანტი-დოპინგური ორგანიზაცია არ აგზავნის შეტყობინებას ატიპიურ ჩვენებასთან დაკავშირებით მანამ, სანამ არ დასრულდება გამოძიება და გადაწყდება, ჩაითვალოს თუ არა არსებული ატიპიური ჩვენება ტესტირებაზე დადებით პასუხად. გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს:

ა) როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გამოძიების დასრულებამდე საჭიროდ თვლის, ბ სინჯის ანალიზს. ორგანიზაციას უფლება აქვს ჩაატაროს ბ სინჯის ანალიზი სპორტსმენისათვის აღნიშნულის შესახებ 7.2 მუხლის ბ) და ვ) ქვეპუნქტებში გათვალისწინებული წესით შეტყობინების შემდეგ.

ბ) როდესაც ორგანიზაცია იღებს მოთხოვნას მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორისგან ამ ღონისძიების წინა პერიოდში ან ორგანიზაციისგან რომელიც, საერთაშორისო შეჯიბრისთვის გუნდში სპორტსმენების შერჩევისას ვალდებულია ჩაეტიოს მკაცრად განსაზღვრულ დედლაინში და სურს იცოდეს, არსებობს თუ არა მის განკარგულებაში მყოფი სპორტსმენის წინააღმდეგ მიმდინარე ატიპიურ ჩვენებასთან დაკავშირებული პროცედურა. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია პირველივე სინჯში

აღმოჩენილი ატიპიური ჩვენების შემთხვევაში, იდენტიფიკაცია გაუკეთოს სპორტსმენს.

ტესტის პოზიტიური პასუხის შემდგომი შემოწმება

ანტიდოპინგური ორგანიზაცია, ან მის მიერ დანიშნული სხვა შემმოწმებელი ორგანოები, ვალდებული არიან, ჩაატარონ შემდგომი გამოკვლევა ანალიზზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, თუ ეს აკრძალული სიით არის გათვალისწინებული. ასეთი გამოკვლევის დასრულების შემდეგ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია გააცნოს სპორტსმენს გამოკვლევის შედეგები, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი ანტიდოპინგური წესების დარღვევას.

7.4. სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევების განხილვა (რომლებიც არ შედიან 7.1-7.3 მუხლებში)

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, ან მის მიერ დანიშნულმა სხვა შემმოწმებელმა ორგანომ, ანალიზზე დადებითი პასუხის შემთხვევაში უნდა ჩაატაროს ნებისმიერი სხვა გამოკვლევა, თუ ეს გათვალისწინებულია კოდექსით დადგენილი წესით, ან თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ჩათვლის საჭიროდ ასეთი გამოკვლევის ჩატარებას. ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელსაც ეკისრება სანქციები, იმის შესახებ, თუ რომელი ანტიდოპინგური წესი იქნა დარღვეული და რა სახით მოხდა დარღვევა. შხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციები გაფრთხილებულ უნდა იქნან 14.1.2 მუხლით გათვალისწინებული წესებით.

კომენტარი 7.3.1: მუხლში გათვალისწინებული შედეგის არსებობისას, სათანადო რეაგირების უფლება ენიჭება **კომენტარი 7.4:** როგორც წესი, საერთაშორისო ფედერაცია სპორტსმენს აღნიშნულ

მომთხოვნ ორგანიზაციას ან მსხვილი საერთაშორისო შეჯიბრის ორგანიზატორს.

შეტყობინებას აწვდის ეროვნული ფედერაციის მეშვეობით.

7.5. დროებითი სანქციის დაკისრების წესები

7.5.1. სავალდებულო ხასიათის დროებითი დისკვალიფიკაცია ა სინჯზე დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში

მხარემ უნდა მიიღოს იმ სპორტულ ღონისძიებებთან წესები, რომელთა ჩატარებაზეც იგია პასუხისმგებელი. შიმუშავოს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი გუნდების დაკომპლექტების პრინციპები. სევე უნდა შეიმუშაოს წესები იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას და აქვს შედეგებზე რეაგირების საშუალება. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში დროებითი სანქცია სპორტსმენს ეკისრება, 7.1; 7.2 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

დროებითი სანქციის დაკისრება არ შეიძლება თუ სპორტსმენს არ მიეცა: ა) წინასწარი მოსმენის უფლება, უშუალოდ დროებითი დისკვალიფიკაციის

შეფარდების წინ; ბ) დროებითი დისკვალიფიკაციიდან განსაზღვრულ დროში გამართული სასწრაფო მოსმენის უფლება (მუხლი 8 მიუკერძოებელი მოსმენის უფლება).

7.5.2. შესაძლო დროებითი დისკვალიფიკაცია ა სინჯში აკრძალული სუბსტანციის არსებობის ან სხვა ანტი-დოპინგური წესის დარღვევის შემთხვევაში.

მხარემ უნდა მიიღოს იმ სპორტულ ღონისძიებებთან წესები, რომელთა ჩატარებაზეც იგია პასუხისმგებელი. შიმუშავოს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი გუნდების დაკომპლექტების პრინციპები. სევე უნდა შეიმუშაოს წესები იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას და აქვს შედეგებზე რეაგირების საშუალება. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში დროებითი სანქცია სპორტსმენს ეკისრება, 7.1; 7.2 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

დროებითი სანქციის დაკისრება არ შეიძლება თუ სპორტსმენს არ მიეცა: ა) წინასწარი მოსმენის უფლება, უშუალოდ დროებითი დისკვალიფიკაციის შეფარდების წინ; ბ) დროებითი დისკვალიფიკაციიდან განსაზღვრულ დროში გამართული სასწრაფო მოსმენის უფლება (მუხლი 8 მიუკერძოებელი მოსმენის უფლება).

თუ დროებითი სანქციას საფუძველად დაედო „ა“ - სინჯის ანალიზის დადებითი შედეგი, ხოლო „ბ“ - სინჯის ანალიზმა არ დაადასტურა იგი, სპორტსმენი შემდგომში არ უნდა ექვემდებარებოდეს არანაირ დისციპლნურ სასჯელსა და სანქციებს, ხოლო ყველა წინა სანქცია უნდა გაუქმდეს. თუ სპორტსმენი, ან სპორტსმენის გუნდი, მოხსნილ იქნა შეჯიბრებიდან, ხოლო „ბ“ - სინჯის ანალიზმა არ დაადასტურა „ა“ - სინჯის ანალიზის პოზიტიური შედეგი, სპორტსმენს ან მის გუნდს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრში, თუ ეს ხელს არ შეუშლის მის მიმდინარეობას.

7.6 სპორტიდან წასვლა

თუ სპორტსმენი ანებებს თავს აქტიურ სპორტს მაშინ, როდესაც უკვე დაწყებულია მიღებულ დადებით შედეგზე შესაბამისი რეაგირება, სპორტსმენზე იურისდიქციის მქონე ამ ორგანიზაციას აქვს უფლება ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული პროცესი. თუ სპორტიდან წასვლა მოხდა შედეგების მიღებამდე, სპორტსმენზე ან ანტი-დოპინგური წესების დამრღვევ სხვა პირზე დარღვევის მომენტში იურისდიქციის მქონდე ორგანიზაციას უფლება აქვს დაიწყოს შედეგებზე რეაგირების პროცესი.

7.6 კომენტარი: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ გადაცდომის ჩადენა მანამ, სანამ ის მოექცეოდა ნებისმიერი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ არ შეიძლება ჩაითვალოს ანტი-დოპინგური

წესების დარღვევად, მაგრამ შეიძლება გახდეს უარის საფუძველი აღნიშნული სპორტსმენის ან პირის ამ ორგანიზაციაში მიღებაზე

მუხლი 8 მიუკერძოებელი მოსმენის უფლება

8.1. მიუკერძოებელი მოსმენა

შედგების დამუშავებაზე პასუხისმგებელი ყველა ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვაძლავდება, ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ბრალდებული ყველა პირის მიმართ, აწარმოოს მოსმენის პროცესი. პროცესმა უნდა გამოავლინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი ანტიდოპინგური წესების დარღვევას. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში მიღებული უნდა იქნას შესაბამის ზომები. მოსმენისას დაცული უნდა იქნას შემდეგი პრინციპები:

- დროულობა;
- მომსმენი ორგანოს სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;
- საკუთარი ხარჯით წარმომადგენლის ყოლის უფლება;
- უფლება, იყოს დროულად და ობიექტურად ინფორმირებული ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით;
- ბრალდებასა და სანქციებზე კანონით გათვალისწინებული რეაქციის უფლება;
- თითოეული მხარის უფლება მტკიცებულებათა წარმოდგენაზე, მოწმეების გამოძახებასა და დაკითხვაზე (საქმის განმხილველი ორგანოს ნებართვით დასაშვებია ტელეფონით, ან წერილობითი ფორმით ჩვენების მიცემა).
- პირის თარჯიმანის მომსახურების გამოყენებაზე. განმხილველმა მხარემ უნდა დაადგინოს თარჯიმანის ვინაობა და ის, თუ ვინ გაიღებს აღნიშნულისათვის საჭირო ხარჯებს.
- დროული, წერილობითი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება.

8.2 განხილვები საშეჯიბრო პერიოდში

შეჯიბრთან დაკავშირებული მოსმენები შეიძლება ჩატარდეს სასწრაფო წესით, თუ ეს ნებადართულია რეგულაციური ანტიდოპინგური ორგანიზაციისა და საქმის განმხილველი ორგანოს მიერ.

8.1. კომენტარი: ამ მუხლის მიზანია, უზრუნველყოს პირის უფლება სამართლიან მოსმენაზე. უხელი არ ერევა კონკრეტული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ

დადგენილ განხილვის წესებში, იგი მხოლოდ ხაზს უსვამს რომ მხარეებმა, აუცილებლად უნდა დაიცვან სამართლიანი მოსმენის პრინციპი

8.3. განხილვაზე უარის თქმა

განხილვაზე უარის თქმა შეიძლება მოხდეს სიტყვიერად. ასევე იმ შემთხვევაში როდესაც სპორტსმენი ან სხვა პირი, წესებით განსაზღვრულ პერიოდში ვერ ახერხებს წინააღმდეგობა გაუწიოს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ განსაზღვრული წესების დარღვევის ბრალდებას. განხილვაზე უარის შემთხვევაში შედეგებზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ ამ პირებს უნდა გაუგზავნოს 13.2.3. მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული გადაწყვეტილება.

8.2 კომენტარი: მაგალითად, სასწრაფო წესით განხილვა შეიძლება გაიმართოს დიდი ტურნირის წინ, როდესაც დღის

წესრიგში დგას ამ ღონისძიებაში სპორტსმენის ან სხვა პირის მონაწილეობის საკითხი, ან ჩატარდეს უშუალოდ ასეთი

ტურნირის მიმდინარეობისას, რათა გადაწყვედეს სპორტსმენის ან სხვა პირის

შედეგების ცნობის ან ღონისძიებაში შემდგომი მონაწილეობის საკითხი.

მუხლი 9. ინდივიდუალური შედეგების ავტომატური ანულირება

შეჯიბრების დროს ჩატარებული ტესტირებისას, გამოვლენილ ანტიდოპინგური წესების დარღვევას მოხდეს წესების დამრღვევი სპორტსმენის შედეგების ავტომატური ანულირება, ასევე ყველა მიღებული მედლებისა თუ ქულების ჩამორთმევა.

9 კომენტარი თუ სპორტსმენი მოიპოვებს ოქროს მედალს, მაგრამ მის ორგანიზმში აღმოაჩენენ დოპინგს, ეს არასამართლიანია სხვა სპორტსმენის მიმართ, მიუხედავად იმისა იყო თუ არა ამაში დამნაშავე თვით სპორტსმენი. სპორტის გუნდური სახეობებისათვის იხილეთ მუხლი 11. ისეთ

სახეობებში რომელიც არ არის გუნდური, თუმცა ჯილდოები მიენიჭებათ გუნდებსაც, ერთი პირის ჩავარდნამ გავლენა უნდა მოახდინოს გუნდურ შედეგზე კონკრეტული საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.

მუხლი 10. სანქციები სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში.

10.1 იმ შეჯიბრების შედეგების ანულირება, რომლის მიმდინარეობის დროსაც მოხდა ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

სპორტული ღონისძიების დროს ან მასთან დაკავშირებით ღონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით გამოვლენილმა ანტიდოპინგური წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს, დამრღვევი სპორტსმენის მიერ აღნიშნულ შეჯიბრზე მიღწეული შედეგების ანულირება, აქედან გამომდინარე ყველა შესაბამისი შედეგებით (მედლების და პრიზების ჩამორთმევის ჩათვლით), 10.1.1 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების გამოკლებით.

10.1 კომენტარი : მე-9 მუხლი ითვალისწინებს შედეგების ანულირებას იმ შეჯიბრების დროს, რომლის დროსაც დაფიქსირდა ტესტირების დადებითი შედეგი (მაგ. 100 მ-ზე ზურგზე ცურვის შედეგები). მოცემულ მუხლში, კი ნათქვამია, რომ შეიძლება მოხდეს რომელიმე სპორტული მოვლენის

(მაგ. ცურვაში მსოფლიო ჩემპიონატის) ყველა შედეგის ანულირება.

აღნიშნული საკითხის გაფასაწყვერ კრიტერიუმში შეიძლება იყოს მაგალითად, ანტიდოპინგური წესების დარღვევის სერიოზულობა ან მოცემული სპორტსმენის წინა ტესტირების შედეგები.

10.1.1. თუ დადგინდება, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევაში სპორტსმენს ბრალი არ მიუძღვის ან დარღვევა მოხდა დაუდევრობის გამო, ამ სპორტსმენის შედეგები არ ანულირდება, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ანტი-დოპინგური წესების დარღვევამ გავლენა იქონია სხვა შედეგებზეც.

10.2 დისკვალიფიკაცია აკრძალული სუბსტანციებისა და აკრძალული მეთოდების გამოყენების, ან გამოყენების მცდელობის, სინჯში აღმოჩენის, ფლობის შემთხვევაში.

ისკვალიფიკაციის პერიოდი შემდეგი მუხლების დარღვევისთვის : 2.1 (სინჯში აკრძალული სუბსტანციის, მისი მეტაბოლიტის ან მარკერის არსებობა) ; 2.2 (აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის გამოყენება ან გამოყენების მცდელობა) ; 2.6 (აკრძალული სუბსტანციების ან მეთოდების ფლობა), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგენილია დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება (მუხლები 10.4 ; 10.5) ან გაგრძელება (მუხლი 10.6), უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად :

პირველი დარღვევა: ორი (2) წლით დისკვალიფიკაცია

მეორე დარღვევა: სამუდამო დისკვალიფიკაცია

მიუხედავად ამისა, ყველა სპორტსმენს ან სხვა პირს, 10.5 მუხლის გათვალისწინებით, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, წარმოადგინოს მტკიცებულებები სადისკვალიფიკაციო ვადის შემცირების ან გაუქმებისათვის.

10.2 კომენტარი : საკითხი სანქციების უნიფიკაციის შესახებ წარმოადგენს ანტიდოპინგურ მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემას. უნიფიკაციის წინააღმდეგ არსებული არგუმენტები ემყარება სპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის განსხვავებებს, მაგალითად, იმას, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში სპორტსმენებს აქვთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ უფრო მეტი ფული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ მოყვარულებსაც კი ვერ უწოდებ. სპორტის იმ სახეობებში, სადაც სპორტსმენის კარიერა მოკლეა (მაგ. მხატვრული ტანვარჯიში), ორი წელი - ძალიან დიდი დროა, განსხვავებით სპორტის ისეთი სახეობისაგან როგორცაა, მაგალითად საცხენოსნო სპორტი ან რბოლა. სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში სპორტული ფორმის შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე გუნდურში. სადისკვალიფიკაციო ვადების უნიფიკაციის სასარგებლოდ მთავარ

არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ არასწორი იქნებოდა, ერთი ქვეყნის წარმომადგენელი ორი სპორტსმენის, ერთნაირი დარღვევისათვის, სხვადასხვა სანქციებით დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სპორტის სხვადასხვა სახეობას წარმოადგენენ. უნიფიკაციის არ არსებობა სანქციების გამოტანის საკითხში საერთაშორისო ფედრაციებსა და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის წარმოადგენს კონფლიქტების მუდმივ საბაზს.

სპორტში დოპინგის შესახებ მსოფლიო კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1999 წ. ლოზანაში, მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პირველ დარღვევაზე უნდა დაინიშნოს ორწლიანი დისკვალიფიკაცია, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში - სამუდამო. მოცემულმა გადაწყვეტილებამ ასახვა კპოვა ოლიმპიური მოძრაობის ანტიდოპინგურ კოდექსში.

10.3 დისკვალიფიკაცია სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის.

სხვა ანტიდოპინგური წესების დარღვევისათვის დისკვალიფიკაციის ვადა (10.2 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევის გამოკლებით) განისაზღვრება შემდეგნაირად:

10.3.1. 2.3 (უარი სინჯის ჩაბარებაზე) და 2.5 (ფალსიფიცირება, ან ფალსიფიცირების მცდელობა, დოპინგ-კონტროლის ნებისმიერ სფეროში) მუხლებით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის სადისკვალიფიკაციო ვადა განისაზღვრება 2 წლით, გარდა 10.5 და 10.6 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა

10.3.2. 2.7 (აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის გავრცელება) და 2.8 (სპორტსმენისათვის ნებისმიერი აკრძალული სუბსტანციისა და აკრძალული მეთოდების დანიშვნა ან დანიშვნის მცდელობა) მუხლებით გათვალისწინებული დარღვევებისათვის, სადისკვალიფიკაციო ვადა განისაზღვრება ვადით 4 წლიდან სამუდამო დისკვალიფიკაციამდე, გარდა 10.5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იუნიორის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა უნდა განიხილებოდეს განსაკუთრებულად, ხოლო თუ აღნიშნული დარღვევა, თუ იგი არ ეხება 4.2.2. მუხლით გათვალისწინებულ სპეციფიკურ სუბსტანციებს, ჩადენილია სპორტსმენის დამხმარე პერსონალის მიერ, პერსონალს უნდა დაეკისროს სამუდამო დისკვალიფიკაცია. თუ ადგილი ჰქონდა 2.7 ან 2.8 მუხლების დარღვევას, რაც შესაძლოა ასევე არღვევდეს სხვა კანონებს და წესებს (გარდა სპორტული წესებისა), აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა შესაბამისი იურიდიული, პროფესიული თუ ადმინისტრაციული ორგანოების ინფორმირება.

შენიშვნა. ის პირი, ვისი დანაშაულითაც მოხდა სპორტსმენის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა, ან ვინც დაფარა დანაშაული, უნდა დაისაჯოს უფრო მკაცრად, ვიდრე სპორტსმენი, ვინაიდან სპორტული ორგანიზაციების უფლება-მოხილება

შეზღუდულია მხოლოდ დისკვალიფიკაციით და სხვა სანქციებით, კომპეტენტური ორგანოების ინფორმირება, პერსონალის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ბერკეტია დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

10.3.3 2.4 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის (ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არ მიწოდება, ტესტის გამოტოვება) დისკვალიფიკაციის ვადა შეადგენს მინიმუმ 1, ხოლო მაქსიმუმ 2 წელიწადს, სპორტსმენის ბრალის დონის გათვალისწინებით.

10.4 სპეციფიკური სუბსტანციების განსაკუთრებული გარემოებების გამო დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება, ან გაუქმება.

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი ახსნის, თუ როგორ აღმოჩნდა სპეციფიკური სუბსტანცია მის სხეულში ან მფლობელობაში, და ეს სუბსტანცია არ ისახავდა მიზნად სპორტული შედეგების გაუმჯობესებას, ან ასეთი შედეგის მომტანი სუბსტანციის კვალის დამაღვას, 10.2 მუხლში გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის ვადა უნდა შეიცვალოს შემდეგით:

10.3.3. კომენტარი: 10.3.3 მუხლის მიხედვით დისკვალიფიკაციის ვადა შეადგენს 2 წელს, თუ სამივე დაგეგმილი ტესტის ჩაგდება მოხდა არასაპატიო მიზეზებით. სხვა

შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დისკვალიფიკაციის ვადა უნდა შემოიფარგლოს 1 წლიდან 2 წლამდე ვადით.

10.4 კომენტარი: არ არის აუცილებელი, სპეციფიკური სუბსტანცია წარმოადგენდეს შედეგების ხელოვნურად გაუმჯობესების თვალსაზრისით, ნაკლებად ეფექტურ საშუალებას (მაგალითად სტიმულანტი შედის სპეციფიკური სუბსტანციების სიაში, თუმცა იგი დიდ ეფექტს ახდენს სპორტსმენის კონდიციებზე საშუალო პერიოდში). ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, აღნიშნული

დარღვევისთვის სპორტსმენმა შესაძლოა მიიღოს დისკვალიფიკაცია 2 წლით, ან, 10.6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, 4 წლამდე ვადით. 10.4 მუხლით გათვალისწინებული გარემოება დგება მაშინ, როდესაც საქმის განმხილველი ორგანო ჩათვლის, რომ სახეზეა საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ სპორტსმენი მიზნად არ ისახავდა სპორტული შედეგების გაუმჯობესებას.

პირველი დარღვევა: მინიმუმ გაფრთხილება და დაშვება შემდგომ შეჯიბრებზე. მაქსიმუმ 2 წლიანი დისკვალიფიკაცია.

განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის მიერ წარმოდგენილ უტყუარ მტკიცებულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ ისახავდა მიზნად სპორტული შედეგების გაუმჯობესებას ან ასეთი შედეგის მიმღები სუბსტანციის კვალის დაფარვას. სასჯელის ხარისხს ძირითადად განსაზღვრავს, დამდგარ შედეგში სპორტსმენის ბრალის დონე.

საქმის განმხილველი ორგანო მტკიცებულებებს საკმარისად მიიჩნევს თუ გამოვლინდა, რომ: სპეციფიკური სუბსტანციაა, ან მისი მიღების დრო არ მოახდენდა არანაირ გავლენას; სპორტსმენის მიერ, სპეციფიკური სუბსტანციის ღიად გამოყენება ან გამოყენების ფაქტის გამხელა; შესაბამის დროს გაცემული სამედიცინო დასკვნა, რომელიც მოწმობს რომ სპეციფიკური სუბსტანციის გამოყენება ხდებოდა არა სპორტული მიზნებისთვის.

რაც უფრო ძლიერია სუბსტანციის ეფექტი, მით მეტია სპორტსმენის მტკიცების ტვირთი. სპორტსმენს, იმ ფაქტის დამტკიცებასთან ერთად, რომ არ ჰქონდა მიზნად სპორტული შედეგების გაუმჯობესება, შეუძლია ახსნას, თუ როგორ მოხვდა მის სხეულში აკრძალული ნივთიერება.

10.5 დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება, ან გაუქმება, გამონაკლისი შემთხვევების გამო

10.5.1. განზრახვის ან დაუდევრობის არ არსებობა

თუ სპორტსმენი დარღვევის დროს (მუხლი 2.1 და 2.2), დაამტკიცებს ბრალისა და დაუდევრობის არ არსებობას მის ქმედებებში, ამ დარღვევისათვის გათვალისწინებული სადისკვალიფიკაციო ვადა შეიძლება გაუქმდეს. თუ მოხდა 2.1. მუხლით გათვალისწინებული დარღვევა, სადისკვალიფიკაციო ვადის გასაუქმებლად სპორტსმენმა უნდა განმარტოს თუ, როგორ აღმოჩნდა აკრძალული სუბსტანცია მის ორგანიზმში. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მუხლით გამოყენებული იქნება და დისკვალიფიკაცია გაუქმდება, მომხდარი დარღვევა მხედველობაში არ მიიღება შემდგომში, 10.7 მუხლით (არაერთგზისი დარღვევა) გათვალისწინებული სანქციების შესაძლო დაკისრების დროს.

10.5.1 კომენტარი: მუხლი 10.5.1 გამოყენება გათვალისწინებული დარღვევის მხოლოდ 2.1 და 2.2 მუხლებით გამოვლენის შემთხვევაში.

10.5.2. უმნიშვნელო ბრალი, ან დაუდევრობა

თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ დარღვევა მოხდა მისი უმნიშვნელო ბრალის ან დაუდევრობის გამო, ანტიდოპინგური წესებით გათვალისწინებული სადისკვალიფიკაციო ვადა შეიძლება შემცირდეს, მაგრამ შემცირებული ვადა არ უნდა შეადგენდეს დაფიქსირებული დარღვევისათვის გათვალისწინებული ვადის ნახევარზე ნაკლებს. თუ კოდექსი ითვალისწინებს სამუდამო დისკვალიფიკაციას, მაშინ ვადის შემცირება შეიძლება 8 წლამდე. თუ დარღვევა შეესაბამება 2.1 მუხლს (სნიჯში აკრძალული სუბსტანციის ან მეთოდის აღმოჩენა), სადისკვალიფიკაციო ვადის შესამცირებლად სპორტსმენმა უნდა დაამტკიცოს, თუ როგორ მოხდა აღნიშნული სუბსტანცია ან მეთოდი მის ორგანიზმში.

5.2 კომენტარი: თითოეულ ანტიდოპინგურ საქმიანობაში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა კონკრეტული ფაქტი და გარემოება. ეს პრინციპი მიღებული იქნა მსოფლიო კონფერენციაზე („სპორტში დოპინგის შესახებ“), ჩართული იქნა WADA-ს კოდექსში და ფორმულირებული იქნა როგორც “გამონაკლისი შემთხვევების გამო სანქციების შემსუბუქება”. აღნიშნულ კოდექსში ეს პრინციპი ასევე მოქმედებს, ანუ, სანქციები შეიძლება შერბილდეს, ან გაუქმდეს, თუკი გაირკვევა, რომ ანტიდოპინგური წესების დარღვევა მოხდა წინასწარი განზრახვის ან დაუდევრობის უმნიშვნელო დონით, ან მისი არ არსებობით. ასეთი მიდგომა შეესაბამება ადამიანის ძირითად უფლებებს და აწონასწორებს ბალანსს ორ უკიდურესობას შორის: იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ანტიდოპინგური ორგანიზაცია მოითხოვს დარღვევების მიმართ მიდგომის გამკაცრებას და არ უშვებს გამონაკლისს, მათი ოპონენტები თითქმის ყველა შემთხვევის დროს მოითხოვენ სანქციების შემსუბუქებას (ან შერბილებას), მაშინაც კი, როდესაც სპორტსმენის დანაშაული სრულიად აშკარაა. მითითებული მუხლები ეხება მხოლოდ სანქციების დაკისრებას, ისინი არ გამოიყენება იმის გასარკვევად, ჰქონდა თუ არა ადგილი ანტიდოპინგური წესების დარღვევას. 10.5 მუხლი გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და დოპინგური საქმეების დიდ უმრავლესობას იგი არ ეხება. მაგლითად, წინასწარი განზრახვისა და დაუდევრობის არ არსებობის შემთხვევაში, სანქციების მოხსნის საბაბი შეიძლება გახდეს სპორტსმენის მეტოქის მხრიდან საბოტაჟის დამტკიცებული ფაქტი. იმ შემთხვევაში

როცა: ა) დარღვევებს ადგილი აქვს იმის გამო, რომ სპორტსმენმა შეჭამა ვიტამინური ან საკვები დანამატი (მუხლი 2.1.1: “სპორტსმენები პასუხისმგებელი არიან იმაზე, თუ რა ხდება მათ ორგანიზმში”), ან ბ) თუ სპორტსმენმა არ იცოდა, რომ მწვრთნელმა, ან ექიმმა დაუნიშნა მას აკრძალული სუბსტანციის შემცველი (სპორტსმენები პასუხისმგებელი არიან თავისი მედპერსონალის არჩევაზე), ან სპორტსმენის მეუღლის, მწვრთნელის ან მისი გარემოცვიდან ნებისმიერი სხვა პერსონის მხრიდან ადგილი ჰქონდა საბოტაჟს (სპორტსმენი პასუხისმგებელია, თუ რა ხდება მის ორგანიზმში და აგრეთვე იმ პერსონალის ამორჩევაში, ვისაც ის ანდობს თავის კვებას). სანქციები არ შეიძლება მოლიანად გაუქმდეს უმნიშვნელო დანაშაულისა და დაუდევრობის გამო. მაგარამ ისინი შეიძლება შემსუბუქდეს. მაგალითად, სანქციები შეიძლება შემსუბუქდეს იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი იღებდა ყველასათვის ხემისაწვდომ ვიტამინურ დანამატებს, რომლის ეტიკეტზეც არ იყო მითითებული არანაირი აკრძალული სუბსტანცია, მაგარამ მაინც შეიცავდა მას, და იგი არანაირი სხვა დანამატებით არ სარგებლობდა.

10.5.2. მუხლი გამოიყენება მხოლოდ ანტიდოპინგური წესების დარღვევის დადგენილი შემთხვევების დროს, ვინაიდან ეს დარღვევა შეიძლება არ იყოს წინასწარ განზრახული. ამ მუხლს არ მიეუთვნება 2.4. მუხლით გათვალისწინებული დარღვევები.

10.5.3. სპორტსმენის მონაწილეობა მისი პერსონალის, ან სხვა პირების მხრიდან ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემთხვევების გამოაშკარავებაში.

შედგებზე რეაგირების უფლების მქონე ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს, 13 მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო შედეგის მიღებამდე, ან სააპელაციო ვადის გასვლამდე, შეამციროს დისკვალიფიკაციის ვადა, თუ სპორტსმენი ქმედით დახმარებას გაუწევს ამ ორგანიზაციას, ან შესაბამის კრიმინალურ სამსახურს, სხვა პირის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის გამოვლენაში. სააპელაციო ვადის გასვლის, ან სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს შეამციროს დისკვალიფიკაციის ვადა მხოლოდ WADA-ს და შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის თახმობის შედეგად. დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება განპირობებულია იმით, თუ რამდენად ქმედით დახმარებას გაუწევს სპორტსმენი ან სხვა პირი სხვა ანტი-დოპინგური წესის დარღვევის აღმოჩენაში, რამდენად სერიოზული იქნება იგი და რამდენად მნიშვნელოვანი, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული მუხლის ძალით, დასაშვებია, დისკვალიფიკაციის ვადის

მხოლოდ სამი მეოთხედით შემცირება. თუ დარღვევა ითვალისწინებას სამუდამო დისკვალიფიკაციას, მაშინ მისი შემცირება დასაშვებია, მაქსიმუმ 8 წლამდე. დისკვალიფიკაციის ვადის შემცირების შემთხვევაში, ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ ამის შესახებ, წინასწარ, დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს აპელაციის უფლების მქონე ყველა ორგანოს. თუ ზემოთხსენებულმა ორგანიზაციამ დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება არ ჩათვალა საჭიროდ, სპორტსმენს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს 13.2 მუხლით გათვალისწინებული წესით.

10.5.4 ანტი-დოპინგური წესის დარღვევის აღიარება სხვა მტკიცებულებების არარსებობისას.

თუ სპორტსმენი აღიარებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას მანამ, სანამ მიიღებს შეტყობინებას სინჯის ჩაბარების შესახებ, რომელსაც შეეძლო გამოეკვლინა ეს დარღვევა, (ან დარღვევის აღმოჩენის შესახებ პირველი ცნობის მიღებამდე, გარდა 2.1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევისა), მას შეიძლება შეუმცირდეს დისკვალიფიკაციის ვადა მაქსიმუმ, გათვალისწინებული ვადის ნახევარით, თუ აღიარების მომენტში არ არსებობდა ანტი-დოპინგური წესების დარღვევის სხვა რეალური მტკიცებულება.

10.5.5 სპორტსმენის მიმართვა დისკვალიფიკაციის ვადის შესამცირებლად

10.5.2; 10.5.3; და 10.5.4 მუხლების საფუძველზე, დისკვალიფიკაციის ვადის შემცირებაზე განცხადებს შეტანამდე, 10.2; 10.3; 10.4 და 10.6 მუხლების უნდა დადგინდეს სასჯელის ვადა. თუ სპორტსმენი ითხოვს დისკვალიფიკაციის ვადის შემცირებას 10.5.2; 10.5.3 და 10.5.4 მუხლებიდან ორის, ან მეტის საფუძველზე, მაშინ დისკვალიფიკაციის ვადა შეიძლება გაუქმდეს, ან შემცირდეს, მაგრამ არაუმეტეს სრული ვადის ერთი მეოთხედით.

10.5.4 აღსანიშნავია, რომ დისკვალიფიკაციის, გამოთშევის ან ვადის შემცირების ყველა მიზეზი არ გამოიყენება ძირითად სანქციებთან ერთად. მაგალითად: მუხლი 10.5.2 არ მოქმედებს 10.3.3 ან 10.4 მუხლებთან ერთად ვინაიდან ამ უკანასკნელი მუხლების მიხედვით, საქმის განმხილველ ორგანოს, პრის ბრალეულობის დონიდან გამომდინარე, უკვე დადგენილი ექნება დისკვალიფიკაციის ვადა. 10.5.5 მუხლიდან გამომდინარე, განმხილველი ორგანო ადგენს, ეკუთვნის თუ არა სპორტსმენს ან სხვა პირს დისკვალიფიკაცია, გამოთშევა, თუ ვადის შემცირება. საბოლოოდ, განმხილველი ორგანო 10.9 მუხლის მიხედვით წყვეტს დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობის საკითხს.

ოცემული ოთხი მაგალითი ნათლად ასახავს ანალიზის პროცესს:

მაგალითი 1

ფაქტი: სინჯში აღმოჩენილია ანაბოლური სტეროიდი. სპორტსმენი დროულად აღიარებს ანტი-დოპინგური წესების

დარღვევის ფაქტს. იგი ასევე ამტკიცებს, რომ მისი ბრალი უმნიშვნელოა (10.5.2), და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას (10.5.3)

1. ძირითადი სანქცია იქნებოდა 2 წლიანი დისკვალიფიკაცია (10.2). დამამძიმებელი გარემოებები (10.6) არ არის სახეზე, რადგან სპორტსმენმა აღიარა დარღვევა. 10.4 მუხლი ასევე არ შეეფარდება, რადგან სტეროიდი არ არის სპეციფიკური სუბსტანცია.
2. უმნიშვნელო ბრალეულობის გამო სანქცია შესაძლოა შემცირებულიყო ნახევრამდე, ხოლო მნიშვნელოვანი დახმარებისათვის სამი მეოთხედამდე.
3. 10.5.5 მუხლის მიხედვით, მნიშვნელოვანი დახმარების და უმნიშვნელო ბრალის დონის გამო, დისკვალიფიკაციის შესაძლო შემცირება შეიძლება ჯამში სამი მეოთხედით რაც მოცემულ შემთხვევაში უტოლდება 6 თვეს.
4. 10.9.2 მუხლის მიხედვით, სპორტსმენს, ანტი-დოპინგური წესების დარღვევის დროულად

ალიარებისთვის, დისკვალიფიკაციის ვადა შესაძლოა დაეწესოს სინჯის აღების დღიდან, თუმცა ამის მიუხედავად, სპორტსმენმა, მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა მოიხადოს სულ ცოტა 3 თვიანი დისკვალიფიკაცია.

მაგალითი 2

ფაქტი: სინჯში აღმოჩენილია ანაბოლური სტეროიდი. არსებობს დამამძიმებელი გარემოებები და სპორტსმენი ვერ ამტკიცებს, რომ აკრძალული ნივთიერება შეგნებულად არ მიუღია. იგი დროულად არ ალიარებს დარღვევის ფაქტს, თუმცა მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას.

1. ძირითადი სანქცია იქნებოდა 2-დან 4 წლამდე დისკვალიფიკაცია (მუხლი 10.6).
2. გაწეული მნიშვნელოვანი დახმარების გამო, სანქცია შესაძლოა შემცირდეს 4 წლის სამ მეოთხედამდე.
3. 10.5.5 მუხლი არ შეეფარდება აღნიშნულ შემთხვევაში.
4. 10.9.2 მუხლის მიხედვით, დისკვალიფიკაციის ვადა დაიწყება მოსმენაზე გადაწყვეტილების გამოტანის დღეს.

მაგალითი 3

ფაქტი: სინჯში აღმოჩენილია სპეციფიკური სუბსტანცია. სპორტსმენი ხსნის, თუ როგორ მოხვდა მის ორგანიზმში აღნიშნული ნივთიერება, ასევე ადასტურებს, რომ მიზნად არ ისახავდა სპორტული შედეგების გაუმჯობესებას და მას მიუძღვის მცირე ბრალი დამდგარ შედეგში. სპორტსმენი ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას.

1. სპეციფიკურ სუბსტანციებთან დაკავშირებული დარღვევის გამო, საწყისი სანქცია იქნებოდა მინიმუმ გაფრთხილება, ხოლო მაქსიმუმ, 2 წლიანი დისკვალიფიკაცია, რასაც განმხილველი ორგანო გადაწყვეტდა სპორტსმენის ბრალის დონიდან გამომდინარე (აღნიშნულ შემთხვევაში სავარაუდოდ 8 თვე).
2. გაწეული მნიშვნელოვანი დახმარების გამო, ვადა შემცირდებოდა 8 თვის სამ მეოთხედამდე (არაუმეტეს 2 თვისა). უმნიშვნელო ბრალეულობის დონე არ შეეფარდება, რადგან ეს ფაქტორი ერთხელ უკვე იქნა გათვალისწინებული მოცემული მაგალითის პირველ ნაბიჯში.

3. მუხლი 10.5.5 ასევე არ შეეფარდება.
4. 10.9.2 მუხლის გამო, რადგან სპორტსმენმა დროულად ალიარა დარღვევა, დისკვალიფიკაციის ვადა შეიძლება დაიწყოს სინჯის აღების დღიდან, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, სპორტსმენმა უნდა მოიხადოს დისკვალიფიკაციის პერიოდის მინიმუმ ნახევარი გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

მაგალითი 4

ფაქტი: სპორტსმენი, რომლისგანაც არასდროს დაფიქსირებულა ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, მოულოდნელად აცხადებს, რომ მან შეგნებულად მიიღო არაერთი აკრძალული ნივთიერება სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად. სპორტსმენი ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას.

1. ჩვეულებრივ, არაერთი აკრძალული ნივთიერების გამოყენება იგულისხმება დამამძიმებელ გარემოებად, აღნიშნულ შემთხვევაში, სპორტსმენის მიერ წინასწარი ალიარების გამო, ასეთად არ ჩაითვლება. აკრძალული ნივთიერების მიზნობრივად გამოყენება ასევე აბათილებს ამ ნივთიერების სპეციფიკური სუბსტანციების სიაში ყოფნას. შედეგად 10.2 მუხლის გათვალისწინებით, დისკვალიფიკაციის ვადა იქნებოდა 2 წელი.
2. სპორტსმენის სპონტანური ალიარების გამო, მოცემული სანქციის ვადამ შესაძლოა შეადგინოს 2 წლის ნახევარი. ხოლო სპორტსმენის მიერ მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის გამო ვადა შესაძლოა შემცირდეს 2 წლის სამ მეოთხედამდე (მინიმალური დასაშვები სანქცია შეადგენს 6 თვეს).
3. თუ განმხილველი ორგანო, მინიმალურ 6 თვიან ვადასთან მისვლის გამო, გათვალისწინებდა 10.5.4 მუხლს, დისკვალიფიკაციის ვადა დაიწყებოდა გადაწყვეტილების მიღების დღიდან. მაგრამ აღნიშნული მუხლი არ იქნა გათვალისწინებული და დისკვალიფიკაციის ვადა დაიწყება ანტი-დოპინგური წესის დარღვევის დღიდან, თუმცა სანქციის ნახევარი სპორტსმენმა უნდა

10.6 დამამძიმებელი გარემოებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისკვალიფიკაციის ვადის გაზრდა

თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა დამამძიმებელ გარემოებებს, (2.7 და 2.8 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სტანდარტული სანქციის გამკაცრება, დისკვალიფიკაციის ვადა შეიძლება გაიზარდოს მაქსიმუმ 4 წლამდე, თუ დამრღვევი პირი ვერ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმისა, რომ აღნიშნული დარღვევა არ იქნა ჩადენილი შეგნებულად.

სპორტსმენს, ან სხვა პირს, შეუძლია თავიდან აიცილოს აღნიშნული მუხლის მოქმედება, თუ ადებულ სინჯზე პასუხის მიღებამდე, წინასწარ აღიარებს ანტი-დოპინგური წესების დარღვევის ფაქტს.

10.7. არაერთგზისი დარღვევები

10.7.1. ანტი-დოპინგური წესების მეორე დარღვევა

სპორტსმენი ან სხვა პირი ანტი-დოპინგური წესების პირველად დარღვევისთვის ისჯება 10.2; 10.3 მუხლების მიხედვით. დარღვევის განმეორებით ჩადენისათვის კი დისკვალიფიკაციის ვადა უნდა განისაზღვროს ქვემოთ მოცემული გრაფის მიხედვით:

განსაზღვრებები:

RS (შემცირებული სანქცია 10.4 მუხლის მიხედვით): დარღვევს უნდა შეეფარდოს შემოკლებული სანქცია რადგან სახეზეა სპეციფიკური სუბსტანციის გამოყენება, ან 10.4 მუხლით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

FFMT (ჩაგდება, ან/და ტესტის გამოტოვება): დაღვევა უნდა დაისაჯოს 10.3

NSF (შემცირებული სანქცია, ბრალის ან დაუდევრობის უმნიშვნელო დონე): დაღვევა უნდა დაისაჯოს 1.5.2 მუხლის მიხედვით, რადგან დადგინდა დამრღვევი პირის ბრალის ან დაუდევრობის უმნიშვნელო დონე.

St (სტანდარტული სანქცია, მუხლები 10.2 ან 10.3.1): დარღვევა უნდა დაისაჯოს 10.2 მუხლით გათვალისწინებული 2 წლიანი სტანდარტული სანქციით.

AS (დამამძიმებელი სანქცია): დაღვევა უნდა დაისაჯოს 10.6 მუხლით, რადგან დადასტურდა დამამძიმებელი გარემოებების არსებობა.

TRA (ტრეფიკინგი ან მისი მცდელობა, დანიშვნა ან მისი მცდელობა): აღნიშნული დარღვევა ისჯება 10.3.2 მუხლის მიხედვით.

10.7.1 კომენტარი RS-ის განმარტება: იხილეთ მუხლი 25.4

10.7.2 10.5.3 და 10.5.4 მუხლების მისადაგება ანტი-დოპინგური წესების მეორე დარღვევასთან.

თუ ანტი-დოპინგური წესების მეორედ დამრღვევი პირი, დაადასტურებს სადისკვალიფიკაციო ვადის გაუქმების, ან შემცირებისათვის საჭირო გარემოებების არსებობას, განმხილველმა ორგანომ ჯერ უნდა დაადგინოს ძირითადი სანქციის ხანგრძლივობა და შემდეგ შეუფარდოს მას შემამსუბუქებელი გარემოებებისგან მიღებული ეფექტი. მიღებული შედეგი არ უნდა იყოს ძირითადი სანქციის ერთ მეოთხედზე ნაკლები.

10.7.3 ანტი-დოპინგური წესების მესამე დარღვევა

მესამე დარღვევა ყოველთვის იწვევს სამუდამო დისკვალიფიკაციას, გარდა 10.4 ან 2.4 მუხლებით გათვალისწინებული გარემოებებისა. ასეთ შემთხვევაში დისკვალიფიკაციის ვადა შეადგენს 8 წელს.

10.7.4 გარკვეული ტიპის არაერთგზის დარღვევებთან დაკავშირებული წესები

თუ სპორტსმენი მეორედ დაარღვევს 10.2, 10.3 და 10.4 მუხლებით გათვალისწინებულ ანტიდოპინგურ წესებს, მაშინ აღნიშნული დარღვევა განმეორებითად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია დაამტკიცებს, რომ შეატყობინა სპორტსმენს პირველი დარღვევის შესახებ ან მიიღო ქმედითი ზომები სპორტსმენის ინფორმირებისათვის. თუ ანტიდოპინგური ორგანიზაცია ვერ დაადასტურებს აღნიშნულ ფაქტს, მაშინ დარღვევა განხილულ იქნება როგორც პირველი და სპორტსმენს პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ დარღვევისათვის, რომელისთვისაც გათვალისწინებულია უფრო მძიმე სანქციები. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, არაერთგზისი დარღვევა გათვალისწინებული იქნება 10.4 მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების შეფარდებისას.

თუ პირველ დარღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ სპორტსმენმა ან სხვა პირმა, ჩაიდინა კიდევ ერთი დარღვევა, პირველი დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებამდე, ანტი-დოპინგური ორგანიზაცია მიიღებს დამატებით სანქციას იმ პრინციპით, რომლის მიხედვითაც ისჯება ერთდროულად ჩადენილი ორი დარღვევა. პირველი დარღვევის ჩადენის შემდეგ მიღებული ყველა სპორტული შედეგი გაუქმდება. აღნიშნული მუხლის მოქმედების თავიდან ასაცილებლად, სპორტსმენმა, ან სხვა პირმა დროულად უნდა აღიაროს ძველი ანტი-დოპინგური წესების დარღვევა პირველი შეტყობინების მიღების შემდეგ. იგივე წესი შეეფარდება იმ შემთხვევებს, როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია აღმოაჩენს ძველი დარღვევის ნიშნებს მას შემდეგ, რაც სპორტსმენს შეეფარდება სანქცია მეორე დარღვევისთვის.

10.7.5 არაერთგზისი დარღვევები 8 წლიანი პერიოდის განმავლობაში

10.7 მუხლით გათვალისწინებული შედეგების დასადგომად აუცილებელია, იმისათვის, რომ დარღვევა ჩაითვალოს არაერთგზისად, იგი განმეორებით უნდა მოხდეს 8 წლის განმავლობაში.

10.7.4 კომენტარი: აღნიშნული მუხლით, სპორტსმენი, რომელმაც ორჯერ დაარღვია ანტიდოპინგური წესები, მაგრამ პირველად მიიღო ინფორმაცია დარღვევის შესახებ,

ექვემდებარება ანტიდოპინგური წესების პირველი (ერთეული) დარღვევისათვის გათვალისწინებულ სანქციებს.

10.8 შეჯიბრების შედეგების ანულირება სინჯების აღების შედეგად

შედეგების ავტომატური ანულირების გარდა, დადებითი დოპინგ-სინჯის გამოვლენის შემთხვევაში (მუხლი 9, შედეგების ავტომეტური ანულირება), დოპინგის გამოყენების შემთხვევის ან სხვა ანტიდოპინგური წესების გამოვლენის შემდეგ მიღებული ყველა სხვა შედეგი (როგორც შეჯიბრის, ისე შეჯიბრების გარეშე პერიოდში) აგრეთვე უნდა იყოს ანულირებული ყველა პრიზისა და ჯილდოების ჩამორთმევით, თუ ამ დროს არ ირღვევა შეჯიბრების სამართლიანად ჩატარების პრინციპი.

10.8.1 ანტი-დოპინგური წესების დარღვევაში სპორტსმენის დამნაშავედ ცნობის შემდეგ, მან უნდა დააბრუნოს მოგებული საპრიზო თანხა.

10.8.2 ჩამორთმეული თანხა

თუ შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესებით არ არის გათვალისწინებული თანხის გადაცემა სხვა სპორტსმენებზე, პრიველ რიგში უნდა დაიფაროს იმ ორგანიზაციის ხარჯები, რომელმაც უზრუნველყო ამ თანხის დაბრუნება. შემდეგ დაიფარება იმ ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ხარჯები, რომელმაც მოახდინა აღნიშნულ დარღვევაზე რეაგირება და ჩაატარა ყველა შემდგომი პროცედურა.

10.8.2 კომენტარი: კოდექსი არ უშლის ხელს იმ სპორტსმენებს ან პირებს, რომლებიც დახარაღდნენ წესების დამრღვევი პირის გამო, მოითხოვონ ზარალის ანაზღაურება ამ პირისგან.

10.9. სადისკვალიფიკაციო ვადის ძალაში შესვლა

დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა იწყება საქმის მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღების დღიდან ან დამრღვევის მიერ განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ვადის ათვლა დაიწყება დისკვალიფიკაციის სხვაგვარად დაკისრების დღიდან. დროებითი სახდელის ვადა ითვლება სადისკვალიფიკაციო ვადაში. მოსმენის შეფერხების ან გადადების შემთხვევაში, სანქციების გამომტან ორგანოს შეუძლია სადისკვალიფიკაციო ვადის დასაწყისად მიიჩნიოს საქმის მოსმენამდე პერიოდიც, სინჯის აღების თარიღის ჩათვლით.

10.9.1 შეფერხებები, რომლებიც არ ეხება სპორტსმენს ან სხვა პირს.

თუ განხილვის პროცესში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან შეფერხებებს, რაშიც სპორტსმენს ან სხვა პირს ბრალი არ მიუძღვის, განმხილველმა ორგანომ, სადისკვალიფიკაციო ვადის ძალაში შესვლის თარიღად შესაძლოა გამოაცხადოს სინჯის აღების თარიღი, ან თარიღი, როდესაც მეორე ანტი-დოპინგური დარღვევა დაფიქსირდა.

10.9.2 დროული აღიარება

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი წინასწარ (რაც გულისხმობს იმ პერიოდს, სანამ სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს მორიგ შეჯიბრში), აღიარებს დარღვევას მას შემდეგ, რაც მას ბრალს დასდებენ ანრი-დოპინგური წესების დაღვევაში, დისკვალიფიკაციის ვადა ძალაში შესაძლოა შევიდეს სინჯების აღების, ან დარღვევის ჩადენის დღიდან. ნებისმიერ შემთხვევაში სპორტსმენმა ან სხვა პირმა უნდა მოხიადოს დისკვალიფიკაციის სულ ცოტა, ნახევარი მაინც, სანქციის აღიარების, განხილვაზე გადაწყვეტილების მიღების, ან სანქციის სხვაგვარად შეფარდების დღიდან.

10.9.3 თუ სპორტსმენს შეეფარდება დროებით დისკვალიფიკაციას, ძირითადი სანქციის დაკისრების შემთხვევაში, ეს პერიოდი მას ჩაეთვლება ძირითად სადისკვალიფიკაციო ვადაში.

10.9.4 თუ სპორტსმენი, ნებაყოფლობით, წერილობითი ფორმით აღიარებს წინასწარ დისკვალიფიკაციას და უარს ამბობს შეჯიბრში მონაწილეობაზე, ძირითადი სანქციის დაკისრების შემთხვევაში, ეს პერიოდი მას ჩაეთვლება ძირითად სადისკვალიფიკაციო ვადაში. სპორტსმენის მიერ წინასწარი დისკვალიფიკაციის აღიარების წერილობითი ფორმის ასლი უნდა გადაეგზავნოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებსაც, 14.1 მუხლის მიხედვით, უნდა ეცნობოს აღნიშნული დარღვევის შესახებ.

10.9.5 აღნიშნული წესები არ მოქმედებს, მანამ სანამ არ იქნება აღიარებული წინასწარი დისკვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, სპორტსმენმა საკუთარი ნებით თქვა უარი მონაწილეობაზე, თუ მისმა გუნდმა გამორიცხა იგი.

10.9.4 კომენტარი: სპორტსმენის მიერ წინასწარი დისკვალიფიკაციის აღიარება არ ნიშნავს ბრალის აღიარებას და მოსმენისას არ უნდა იქნას გამოყენებული ამ მიზნებისთვის.

10.9 კომენტარი: მუხლის ტექსტი გადაიხედა, რადგან ნათლად ჩამოყალიბებულიყო, რომ დისკვალიფიკაციის ვადის გადაწყვეტილების გამოტანამდე ძალაში შესულად ჩათვლის მიზეზი შეიძლება გახდეს მხოლოდ შეფერხებები, რომლებიც არ არის გამოწვეული სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ, დროული აღიარება და წინასწარი დისკვალიფიკაცია.

10.10. სპორტსმენის სტატუსი დისკვალიფიკაციის პერიოდში

10.10.1. დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრებში მონაწილეობის მიღების აკრძალვა

დისკვალიფიკაციის პერიოდში არცერთ დისკვალიფიცირებულ პირს, არანაირი სახით, არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებში ან სხვა ღონისძიებებში, (გარდა სპეციალური ანტიდოპინგური საგანმანათლებლო, ან სარეაბილიტაციო პროგრამებისა) რომლებიც ორგანიზებული იქნება ხელის მომწერი მხარის, მისი წევრი ორგანიზაციის, ან თავის მხრივ ამ უკანასკნელის წევრი კლუბის ან ორგანიზაციის მიერ. სევე პროფესიონალური ლიგის მიერ ორგანიზებული შიდა, თუ საერთაშორისო შეჯიბრებში. ოთხ წელზე მეტი ვადით დისკვალიფიცირებულ პირს, ოთხი წლის გასვლის შემდეგ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სპორტის სხვა სახეობებში გამართულ ადგილობრივ ღონისძიებებში, მაგრამ მხოლოდ იმათში, რომლებიც არ წარმოადგენენ ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე გასასვლელ საკვალიფიკაციო შეჯიბრებებს და არ ანიჭებენ ქულებს ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე.

10.10.1 კომენტარი: მაგალითად, დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მისი ფედერაციის ან ამ ფედერაციის წევრი კლუბის მიერ ორგანიზებულ ვარჯიშში. ასევე ვერ მიიღებს მონაწილეობას ისეთი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში, რომელიც არ წარმოადგენს ხელის მომწერ მხარეს (მაგალითად ნაციონალური პოკერის ლიგა), ეროვნულ, თუ საერთაშორისო დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოქმედდება ამ კოდექსის 10.10.2 მუხლი.

10.10.2. დისკვალიფიკაციის პერიოდში შეჯიბრებში მონაწილეობის მიღების აკრძალვის წესის დარღვევა

თუ დისკვალიფიცირებული სპორტსმენი დაარღვევს 10.1.1 მუხლში გათვალისწინებულ შეჯიბრში მონაწილეობის აკრძალვის წესებს, ასეთი შეჯიბრის შედეგი ანუღიერებული იქნება, ხოლო დამრღვევისთვის დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა დაიწყება თავიდან, დარღვევის დღიდან. ვადა შესაძლოა შემცირდეს, თუ სპორტსმენი 10.5.2 მუხლით გათვალისწინებული წესით დაამტკიცებს, რომ მის ქმედებაში არ არის მნიშვნელოვანი ბრალი ან დაუდევრობა. დისკვალიფიკაციის წესების დარღვევის და ამ ვადის შემცირების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ის ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომელმაც შეუფარდა სანქცია დამრღვევ სპორტსმენს ან სხვა პირს.

10.10.3. დისკვალიფიკაციის პერიოდში, დაფინანსების შეჩერება

ანტი-დოპინგური წესის დარღვევისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც გამოიყენება შემოკლებული სანქცია 10.4 მუხლში გათვალისწინებულ სპეციფიკურ სუბსტანციებთან დაკავშირებით, დამრღვევ პირს, ხელის მომწერი სახელმწიფოს ან მისი წევრი ორგანიზაციის მხრიდან უნდა შეუწყდეს სპორტთან დაკავშირებული დაფინანსება, ან სხვა სახის სარგებელის მიღება მთლიანად, ან ნაწილობრივ.

10.11. ტესტირება სპორტში დაბრუნების დროს

დროებითი სანქციის, ან სადისკვალიფიკაციო ვადის გასვლის შემდეგ სპორტში დაბრუნებისათვის აუცილებელია რომ სპორტსმენი ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი უფლებამოსილი ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის, რათა მოხდეს მისი არასასაშეჯიბრო პერიოდში ტესტირება და მისგან ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება. თუ დისკვალიფიცირებული სპორტსმენი დაანებებს თავს აქტიურ სპორტს, ამოღებული იქნება ადგილობრივი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზიდან და შემდეგ მოისურვებს დაბრუნებას, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ უფლებამოსილ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, გაიაროს არასასაშეჯიბრო ტესტირება. ასეთ შემთხვევაში სპორტსმენი ვალდებულია ბოლომდე მოიხადოს დაკისრებული სახდელი, იმ ვადის გამოკლებით, რომელიც მან სპორტიდან წასვლამდე მოიხადა.

10.11 კომენტარი: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოდექსი უფლებას აძლევს სხვადასხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს დაადგინონ საკუთარი წესები იმ

შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც სპორტსმენი სადისკვალიფიკაციო პერიოდში გადაწყვეტს წავიდეს სპორტიდან, მაგრამ მოისურვებს დაბრუნებას.

10.12. ფინანსური სანქციების დაკისრება

საკუთარი წესებიდან გამომდინარე, ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას უფლება აქვს ფინანსური სანქციები დააკისროს დამრღვევ პირს. თუმცა არანაირი ფინანსური სანქცია არ შეიძლება გახდეს დამრღვევი პირისათვის კოდექსიდან გამომდინარე კუთვნილი დისკვალიფიკაციის ვადის შემცირების საფუძველი.

კომენტარი 10.12: მაგალითად, თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ მოცემული დარღვევისთვის, ერთდროულად, კოდექსით გათვალისწინებული სანქცია, და

მათი წესებით გათვალისწინებული ფინანსური სანქცია ზედმეტად მკაცრია, უნდა მოიხსნას მათი წესებით გათვალისწინებული ფინანსური სანქცია.

მუხლი 11: შედეგები გუნდებისათვის

11.1. სპორტის გუნდური სახეობების ტესტირება

სპორტის გუნდურ სახეობაში, რომელიმე სპორტული ღონისძიების დროს, თუ გუნდის ერთ წევრზე მეტი იქნება ინფორმირებული მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ანტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევაზე, გუნდს, ღონისძიების განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს მიზნობრივი ტესტირება.

11.2 შედეგები გუნდურ სპორტის სახეობებში

თუ სპორტული მოვლენის დროს გამოვლენილი იქნა გუნდის ორი ან მეტი წევრის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევა, დამრღვევ სპორტსმენებთან ერთად, გუნდი შეიძლება დისკვალიფიცირდეს ან დაისაჯოს სხვა დისციპლინური სახდელით (მაგალიტად ქულების ჩამორთმევა).

11.3 გუნდურ სახეობებში ღონისძიების ორგანიზატორს შეუძლია დააწესოს უფრო მკაცრი სანქციები

სპორტის გუნდურ სახეობებში, შეჯიბრის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზატორებს აქვთ უფლება, დააწესონ უფრო მკაცრი სანქციები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კოდექსის 11.2 მუხლით.

11.3 კომენტარი: მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, უფლება აქვს მოახდინოს გუნდის დისკვალიფიკაცია თამაშებიდან, დარღვევათა უფრო მცირე რაოდენობისთვის.

მუხლი 12. სანქციები სპორტული სტრუქტურების მიმართ

კოდექსი არ ზღუდავს მასზე ხელისმომწერ მხარეებსა და მთავრობებს, მათ დაქვემდებარებაში მყოფ სპორტულ სტრუქტურებზე სანქციების დადების საკუთარი წესების ჩამოყალიბების საკითხში.

მუხლი 13. აპელაციები

13.1 გადაწყვეტილებები, რომლებზეც შეიძლება აპელაციების შეტანა

ამ კოდექსით ან მასზე დატრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს 13.2 და 13.4 მუხლებით გათვალისწინებული წესით. პირველი გადაწყვეტილება ძალაში რჩება მანამ სანამ აპელაციის განმხილველი ორგანო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. აპელაციის შეტანამდე ჩატარებული უნდა იქნას მოცემული ანტიდოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა გადახედვის ყველა საჭირო პროცედურა, იმ პირობით რომ აღნიშნული პროცესი არ ეწინააღმდეგება 13.2.2 მუხლით გადმოცემულ პრინციპებს (გამონაკლისს წარმოადგენს 13.1.1. მუხლით გათვალისწინებული გარემოებები).

13.1. კომენტარი: აღნიშნული მუხლი ნათლად განმარტავს, რომ კოდექსი არ კრძალავს

ორგანიზაციებს შორის დისციპლინური ფორმით უფლება-მოვალეობების არსებობას.

13.1.1. WADA არ არის ვალდებული ამოწუროს ზემოქმედების შიდა საშუალებები.

იმ შემთხვევაში, თუ WADA-ს აქვს აპელაციის უფლება 13 მუხლის მიხედვით, ხოლო სხვა არც ერთ ორგანიზაციას არ შეაქვს აპელაცია, WADA-ს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უშუალოდ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში ისე, რომ არ ამოწუროს სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების სახით არსებული რესურსი.

13.2. აპელაციები ანტიდოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შედეგებზე და დროებით სანქციებზე

გადაწყვეტილებები, დაკავშირებული ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტის დადასტურებასთან ან უარყოფასთან და აქედან გამომდინარე შედეგებთან, ასევე იმის შესახებ, რომ ანტიდოპინგური ორგანიზაცია არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ანტიდოპინგური წესების დარღვევაზე, ან დარღვევიდან გამომდინარე შედეგებზე და გადაწყვეტილებები, დაკავშირებული წინასწარი მოსმენის შედეგად, 7.5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისას, დაკისრებულ წინასწარ სახდელთან შეიძლება გასაჩივრდეს 13.2 მუხლით გათვალისწინებული წესით.

13.2.1. აპელაციები საერთაშორისო დონის სპორტსმენებსთან დაკავშირებით

იმ საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო შეჯიბრებებთან ან საერთაშორისო დონის სპორტსმენებთან, ხდება საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

13.2.1 კომენტარი: საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილებები საბოლოოა გარდა კანონით გათვალისწინებული იმ

შემთხვევებისა, როდესაც ხდება არბიტრაჟის გადაწყვეტილებების ანულირება.

13.2.2. აპელაციები ეროვნული დონის სპორტსმენებთან დაკავშირებით

ეროვნული დონის სპორტსმენებთან დაკავშირებულ საქმეებზე აპელირება შეიძლება მოხდეს ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით განსაზღვრულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში. აუცილებელია შემდეგი პრინციპების დაცვა:

- მოსმენის დროულობა;
- აპელაციის განმხილველი ორგანოს სამართლიანობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- საკუთარი ხარჯებით წარმომადგენლის ყოლის უფლება;
- დროული და დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილების მიღება.

13.2.2 კომენტარი: ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია უფლება მისცეს თავის სპორტსმენს, რათა აპელაცია

შეიტანოს უშუალოდ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

13.2.3. აპელაციის შეტანაზე უფლებამოსილი პირები.

13.2.1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში აპელაციის შეტანის უფლება აქვთ შემდეგ მხარეებს: ა) სპორტსმენს ან სხვა პირს, რომელიც წარმოადგენს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების სუბიექტს; ბ) საქმეში მონაწილე სხვა მხარეს გ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია. დ) იმ ქვეყნის ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციას, რომლის წარმომადგენელიცაა დამრღვევი პირი ან რომელშიც იგი ფლობს ეროვნული დონის ლიცენზიას. ე) საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ან საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტს იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება უკავშირდება ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებს, ასევე ამ თამაშებზე დაშვების საკითხებს. ვ) მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს.

13.2.2. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დროს. ხარეების ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ შეიტანონ აპელაცია ეროვნულ დონეზე, განისაზღვრება ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ მიღებული წესების შესაბამისად, მაგრამ მათ სიაში, აუცილებლად უნდა იყოს: ა) სპორტსმენი, ან სხვა პირი რომელიც წარმოადგენს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების სუბიექტს; ბ) საქმეში მონაწილე სხვა მხარე; გ) შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია. დ) იმ ქვეყნის ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომლის რეზიდენტიც არის დამრღვევი პირი. ე) მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტო. 13.2.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში WADA-ს და შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას აგრეთვე აქვთ უფლება საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში შეიტანონ აპელაცია ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებზე.

WADA-ს მხრიდან ჩარევის, ან აპელაციის შეტანის დედლაინი არის:

- ა) 21 დღე იმ დედლაინის შემდეგ, როდემდეც საქმის მონაწილე მხარეებს ჰქონდათ გასაჩივრების უფლება.
- ბ) 21 დღე მას შემდეგ, რაც WADA მიიღებს სრულ დოკუმენტაციას საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

13.3 ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების დროულად ვერ მიღება

თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, განსაზღვრულ ვადებში ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე ანტი-დოპინგური წესების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, WADA-ს აქვს უფლება უშუალოდ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივროს აღნიშნული ფაქტი, როგორც მიღებული გადაწყვეტილება, წესების დარღვევის არ არსებობასთან დაკავშირებით. თუ საარბიტრაჟო სასამართლო დაადასტურებს წესების დარღვევის ფაქტს და ჩათვლის, რომ WADA-ს მიერ შეტანილი აპელაცია იყო მიზანშეწონილი, მაშინ WADA-ს ხარჯები და ბრალმდებლის ანაზღაურება უნდა დაფაროს იმ ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ, რომლის ქმედებაც იქნა გასაჩივრებული.

კომენტარი 13.3: თითოეული ანტი-დოპინგური წესების დარღვევის გამოძიების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გამოტანისათვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული ვადა. ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ქმედების გასაჩივრებამდე, WADA-მ კონსულტაცია უნდა გაიაროს აღნიშნულ ორგანოსთან და

მისცეს საშუალება ორგანიზაციას, განმარტოს ასეთი ქმედების მიზეზები. აღნიშნული წესით საერთაშორისო ფედერაციას ასევე აქვს უფლება გაასაჩივროს ეროვნული ფედერაციის მიერ საქმეზე გადაწყვეტილების დროულად ვერ მიღების ფაქტი.

13.4 აპელაციები თერაპიულ გამოყენებაზე უფლების გაცემას ან უარის თქმასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე

WADA-ს მიერ თერაპიული მიზნით გამოყენებისათვის გაცემული ნებართვების, ან მასზე უარის გადახედვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში, სპორტსმენის, ან იმ ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომლის გადაწყვეტილებაც იქნა შეჩერებული. WADA-ს გარდა სხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების უარი, თერაპიული გამოყენების მიზნით ნებართვის გაცემაზე, იმ შემთხვევებში როდესაც ასეთ საქმეებს არ იხილავს WADA, საერთაშორისო დონის სპორტსმენების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში, ხოლო ეროვნული დონის სპორტსმენების მიერ, ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ 13.2.2 მუხლის მიხედვით მითითებულ ორგანოში.

თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია აგვიანებს გადაწყვეტილების მიღებას დადგენილი წესით შევსებულ თერაპიული გამოყენების ნებართვის სააპლიკაციო ფორმაზე, აღნიშნული ფაქტი ჩაითვლება უარის თქმად, სპორტსმენის მხრიდან გასაჩივრების უფლებით.

13.5 აპელაციის შეტანა ამ კოდექსის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებზე.

WADA-ს მიერ, 23.4.5. მუხლით გათვალისწინებული შეუსაბამობის შესახებ მოხსენების, ან ამ კოდექსის მე-3 ნაწილის შესაბამისად (მხარეების როლი და მოვალეობები) ორგანიზაციას, რომლის გამოც ხდება შედეგების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა, მიღებული რეგლამენტის შესაბამისად, უფლება აქვს ასეთი გადაწყვეტილების გამო შეიტანოს აპელაცია საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

13.6 აპელაციები ლაბორატორიებისათვის გაცემული აკრედიტაციის ჩამორთმევას ან ანულირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

WADA-ს გადაწყვეტილებაზე ლაბორატორიებისათვის აკრედიტაციის ჩამორთმევის ან ანულირების შესახებ აპელაციის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ლაბორატორიებს და მხოლოდ საერთაშორისო სპორტულ არბიტრაჟში.

კომენტარი 13: კოდექსი მიზნად ისახავს აპელაციის შესაძლებლობით, სამართლიანი და გამჭვირვალე გზით, სხვადასხვა ანტიდოპინგური ნორმების მიღებას. ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღების ნორმები გადმოცემულია მეოთხემეტე მუხლში.

შესაბამის პირებს, WADA-ს ჩათვლით, შესაძლებლობა აქვთ აპელაცია შეიტანონ ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებული პირების წრეში, რომელთაც მე-13 მუხლით აქვთ აპელაციის შეტანის უფლება, არ შედიან სპორტსმენები ან მათი

მუხლი 14. კონფედენციალურობა და ანგარიშგება

აღნიშნულ კოდექსზე ხელის მომწერი მხარეები თანხმდებიან ისეთ პრინციპებზე, როგორცაა გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება და ამასთან, პატივისცემით ეპყრობიან იმ პირთა ინტერესებს, ვისაც ბრალად ედება ანტიდოპინგური წესების დარღვევა.

14.1 ინფორმაცია ანალიზის არასასურველ შედეგზე, ატიპიურ შედეგზე ან ანტიდოპინგური წესების სხვა შესაძლო დარღვევებზე.

14.1.1. სპორტსმენებზე და სხვა პირებზე შეტყობინება

სპორტსმენი, ვისმა სინჯმაც, 7.1 ან 7.3 მუხლებით გათვალისწინებული წესით, აჩვენა ანალიზის არასასურველი შედეგი, ასევე სპორტსმენი ან სხვა პირი, რომელსაც ბრალად ედება ანტი-დოპინგური წესების დარღვევა 7.4. მუხლით გათვალისწინებული წესით, ინფორმირებული უნდა იყოს ანალიზის დამუშავებაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-7 მუხლში.

14.1.2. ანტი-დოპინგური ორგანიზაციების, საერთაშორისო ფედერაციების და WADA-ს ინფორმირება

სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია, შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია და WADA ასევე უნდა იყოს ინფორმირებული არაუგვიანეს 7.1 და 7.2 მუხლებით გათვალისწინებული პროცესების დასრულებისა.

14.1.3. შეტყობინების შინაარსი

შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სპორტსმენის სახელი, ქვეყანა, რომლის სახელითაც ის გამოდის, სპორტის სახეობა და დისციპლინა, სპორტსმენის საშეჯიბრო დონე, სინჯის აღების თარიღი, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა პირობებში იქნა იგი აღებული: საშეჯიბრო, თუ არასასეჯიბრო პერიოდში და ლაბორატორიის მიერ მოწოდებული ანალიტიკური შედეგები.

14.1.4. დასკვნა მდგომარეობის შესახებ

იგივე პირებს და ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. სისტემატურად უნდა მიეწოდებოდეს წერილობითი ფორმით, დასაბუთებული, ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით ახალ გარემოებაზე რომელიც გათვალისწინებულია 7 (შედეგების დამუშავება); 8 (სამართლიანი მოსმენის უფლება) და 13 (აპელაციები) მუხლებით.

14.1.5. კონფიდენციალურობა

მიმღებმა ორგანოებმა არ უნდა გაახმაურონ აღნიშნული ინფორმაცია, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ ორგანიზაციაში მყოფი საქმეზე პასუხისმგებელი პირებისათვის (მაგალითად, შესაბამისი პერსონალი ეროვნულ

ოლიმპიურ კომიტეტში, ეროვნულ ფედერაციაში და გუნდში გუნდურ სპორტში), მანამ, სანამ შედეგების დამუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია 14.2 მუხლის შესაბამისად არ გამოაქვეყნებს აღნიშნულ ინფორმაციას ან ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, გახმაურებასთან დაკავშირებით.

14.2 ინფორმაციის გამოქვეყნება

იმ სპორტსმენთა, ან სხვა პირთა, საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელთა სინჯებმა აჩვენა ანალიზის არასასურველი შედეგი, ან სხვა სავარაუდო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, შეიძლება გახმაურებული იყოს შედეგების დამუშავებაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება სპორტსმენის ან სხვა დამრღვევი პირისათვის 7.2; 7.3 ან 7.4; ასევე სხვა შესაბამისი ანტი-დოპინგური ორგანიზაციებისათვის, 14.1.2. მუხლებით გათვალისწინებული შეტყობინების გაგზავნა.

14.2.2. არაუგვიანეს 20 დღისა მას შემდეგ, რაც მე-8 მუხლის შესაბამისად, მოსმენის პროცესში დადგინდება ანტიდოპინგური წესების დარღვევის ფაქტი, მოხდება განხილვაზე უარის თქმა, აღმოჩნდება, რომ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის ბრალდება დროულად არ იქნა უარყოფილი, შედეგებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ღიად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით რომელშიც უნდა მიუთითოს: სპორტის სახეობა, დარღვეული ანტი-დოპინგური წესი, დამრღვევი სპორტსმენის, ან სხვა პირის ვინაობა, გამოყენებული აკრძალული სუბსტანცია და აკრძალული მეთოდი და დარღვევასთან დაკავშირებული შედეგები. იგივე ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ, 20 დღის განმავლობაში, საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს დარღვევასთან დაკავშირებული სააპელაციო გადაწყვეტილებები. აღნიშნულმა ორგანიზაციამ, შედეგების გამოქვეყნების პერიოდში, თითოეული მოსმენის და აპელაციის შედეგები ასევე უნდა გადაუგზავნოს მსოფლიო ანტი-დოპინგურ სააგენტოს.

14.2.3. თუ განხილვის, ან აპელაციის შემთხვევაში დადასტურდა, რომ სპორტსმენს, ან სხვა პირს, არ ჩაუდენია ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ აღნიშნული სპორტსმენის, ან პირის ნებართვის საფუძველზე. საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები ანტი-დოპინგური ორგანიზაცია უნდა ეცადოს, მოიპოვოს ასეთი ნებართვა. ნებართვის მოპოვების შემთხვევაში ინფორმაციის გამოქვეყნება უნდა მოხდეს, ეჭვმიტანილი სპორტსმენის ან სხვა პირის ნების შესაბამისად, სრულად, ან სხვაგვარი ფორმით.

14.2.4. 14.2 მუხლის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოქვეყნების მინიმალურ ფორმას წარმოადგენს შესაბამისი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ვებ საიტზე მისი გამოქვეყნება და სულ მცირე, ერთი (1) წლით შენარჩუნება.

14.2.5. ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას, მსოფლიო ანტი-დოპინგურ სააგენტოს, ან მის მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიას არ აქვთ უფლება გაახმაურონ მიმდინარე საქმის დეტალები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ გამონხმაურებას სპორტსმენის, სხვა პირის ან მათი წარმომადგენლების მიმართ.

14.3 ინფორმაცია სპორტსმენის ადგილსამყოფელის შესახებ

არასაშეჯიბრო პერიოდის ტესტირების სარეგისტრაციო ბიუროში ჩართული სპორტსმენები ვალდებული არიან თავიანთ საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას დროულად წარუდგინონ ზუსტი ინფორმაცია თავიანთი ადგილსამყოფელის შესახებ. საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით უნდა შეაგროვონ ასეთი ინფორმაციები სპორტსმენებზე და მიაწოდონ WADA-ს. ინფორმაცია ხემისაწვდომი იქნება ADAMS-ის მეშვეობით რითაც ისარგებლებენ სპორტსმენზე, 15 მუხლის შესაბამისად, კონკრეტულ მომენტში უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციები. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს მკაცრად კონფიდენციალური, გამოყენებული მხოლოდ დაგეგმარების, კოორდინაციის და ტესტების ჩატარების მიზნით და განადგურებულ უნდა იქნას მას შემდეგ, რაც იგი აღნიშნული მიზნებისათვის აღარ იქნება მიზანშეწონილი.

14.4 სტატისტიკური აღრიცხვა

ანტიდოპინგური ორგანიზაციები ვალდებული არიან, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნონ სტატისტიკური ანგარიში ანტიდოპინგურ სფეროში თავისი მოღვაწეობის შესახებ და ამ ანგარიშის ასლი გაუგზავნონ WADA-ს. ორგანიზაციებს ასევე უფლება აქვთ გამოაქვეყნონ გასინჯულ სპორტსმენთა სია და ჩატარებული ტესტირების თარიღები.

14.5 დოპინგ-კონტროლზე ინფორმაციის შეგროვება, კლასიფიკაცია და გავრცელება

WADA მოწოდებულია გახდეს დოპინგ-კონტროლზე ინფორმაციის შეგროვების, კლასიფიკაციის და გავრცელების ცენტრი, ყველა იმ საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ტესტირების მონაცემთა ბაზაში. ტესტირების კოორდინირებულად ჩატარებისა და სხვადასხვა ანტიდოპინგური ორგანიზაციების მიერ ერთი და იგივე სპორტსმენის განმეორებით ტესტირების თავიდან აცილების მიზნით, თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ტესტირების ჩატარებისთანავე WADA-ს უნდა მიაწოდოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია აღნიშნულ ტესტირებასთან დაკავშირებით. WADA ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს ასეთი ინფორმაცია სპორტსმენის, სპორტსმენის ეროვნული ფედერაციის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის, სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ან საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტებისათვის. მონაცემთა ბაზის სწორად გამოყენებისათვის, WADA-მ შექმნა მისი მართვის საშუალება, ADAMS-ი, რომლის დანიშნულებაცაა

სპორტსმენთა შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის შენარჩუნება. სპორტსმენებთან, მათ პერსონალთან და სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია WADA-ს მიერ. მას, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ზედამხედველობენ კანადის საიდუმლო ორგანოები. სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ, WADA ვალდებულია გამოაქვეყნოს სტატისტიკური ანგარიში, რომელიც შეაჯამებს დაგროვილ ინფორმაციას. აქვე აღსანიშნავია რომ ასეთი დასკვნა არ უნდა ხელყოფდეს სპორტსმენების და სხვა პირების კონფიდენციალურობას.

14.6 მონაცემთა საიდუმლოება

კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისას, ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციებმა შეიძლება შეაგროვონ, შეინახონ, გამოიყენონ ან გაახმაურონ სპორტსმენებთან და მესამე პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასეთი მოქმედებისას, ყველა ორგანიზაცია უნდა გამომდინარეობდეს მონაცემთა დაცვის და კონფიდენციალურობის შესახებ კანონებიდან, ასევე კერძო ინფორმაციის დაცვის საერთაშორისო სტანდარტებიდან.

მუხლი 15: დოპინგ კონტროლის ვალდებულებების განმარტება

15.1 ტესტირება საშეჯიბრო პერიოდში

ტესტირებისათვის სინჯების აღება უნდა ხდებოდეს, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული დონის სპორტული მოვლენების დროს. მაგრამ სპორტული მოვლენების დროს ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია. საერთაშორისო სპორტული მოვლენებზე ასეთ პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული სპორტული მოვლენის ჩატარებაზე (მაგალითად, ოლიმპიადაზე ეს იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, მსოფლიო ჩემპიონატზე - საერთაშორისო ფედერაცია). ეროვნულ სპორტულ მოვლენებზე დოპინგ-კონტროლისათვის სინჯების აღებას ორგანიზებას უნდა უწევდეს და ატარებდეს მოცემული ქვეყნის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია.

15.1.1. თუ ისეთ ორგანიზაციას, რომელიც არ წარმოადგენს შეჯიბრზე პასუხისმგებელ მხარეს, სურს ჩაატაროს დამატებით ტესტები, მან უნდა მიმართოს აღნიშნული დონისძიების ორგანიზატორ მხარეს, მოიპოვოს მისი ნებართვა და შეათანხმოს ქმედებების კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხები. თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია არ არის კმაყოფილი ორგანიზატორის პასუხით, მას შეუძლია უშუალოდ WADA-გან მოიპოვოს მოცემულ შეჯიბრზე ტესტირების ჩატარების ნებართვა. WADA-მ არ უნდა გასცეს ნებართვა მანამ, სანამ კონსულტაციას არ გაივლის შეჯიბრის ორგანიზატორ მხარესთან.

15.1.1. კომენტარი: WADA-მ, საერთაშორისო შეჯიბრზე, ეროვნული ორგანიზაციისათვის ტესტირებაზე ნებართვის გაცემამდე, კონსულტაცია უნდა გაიაროს აღნიშნული

საერთაშორისო შეჯიბრის ორგანიზატორ მხარესთან, ხოლო ეროვნულ შეჯიბრზე, საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ტესტირების ნებართვის გაცემამდე.

კონსულტაცია უნდა გაიაროს იმ ქვეყნის ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან, რომელშიც ტარდება დონისძიება. ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას შეთანხმების საფუძველზე,

შეუძლია თავისი ინიციატივით, სინჯების აღების ჩატარებისათვის ან დოპინგ-კონტროლის სხვა ასპექტისათვის, პასუხისმგებლობა გადასცეს სხვა ორგანიზაციებს.

15.2 ტესტირება არასაშეჯიბრო პერიოდში

ტესტირება არასაშეჯიბრო პერიოდში უნდა ჩატარდეს, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული ორგანიზაციების მიერ. არასაშეჯიბრო პერიოდში ტესტირებას შეიძლება ატარებდნენ შემდეგი ორგანიზაციები: ა) WADA; ბ) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ან საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით; გ) სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაცია; დ) სპორტსმენზე, კონკრეტულ დროს იურისდიქციის მქონე ორგანიზაცია. ტესტირების ეფექტურობის ამაღლების ან არააუცილებელი განმეორებითი თავიდან აცილების მიზნით, შეჯიბრგარეშე პერიოდში ტესტირება უნდა ჩატარდეს ADAMS-თან შეთანხმებით.

15.2 კომენტარი: ტესტირების ჩასატარებლად დამატებითი უფლებამოსილება შეიძლება გაიცეს დაინტერესებული მხარეებისა და

მთავრობების ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

15.3 შედეგების დამუშავება, მოსმენები და სანქციები

15.3.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ჩატარებულ ტესტირებასთან დაკავშირებით, შედეგების დამუშავება და მოსმენები უნდა ჩატარდეს ტესტირებაზე პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციის, ან იმ შემთხვევაში თუ ტესტირება არ ჩატარდა, დარღვევის აღმომჩენი ორგანიზაციის პროცედურული წესების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ორგანიზაციას ასეთი წესები არ გააჩნია, საქმე ავტომატურად გადაეცემა შესაბამის საერთაშორისო ფედერაციას. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი ორგანიზაცია ატარებს შედეგების დამუშავებას და მოსმენებს, დაცული უნდა იქნეს მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი პრინციპები და აღნიშნული კოდექსის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული წესები.

15.3.1 კომენტარი: ზოგიერთ შემთხვევაში, იმ ორგანიზაციის პროცედურული წესები, რომელმაც აიღო სინჯი, მიუთითებენ, რომ საქმე უნდა გადაეცეს სხვა ორგანიზაციას (მაგალითად სპორტსმენის ეროვნულ ფედერაციას). ასეთ შემთხვევაში, მოცემული ორგანიზაციის ვალდებულებაა, დაადასტუროს, რომ საქმის განსახილველად

გადასაცემა ორგანოს წესები შეესაბამება ანტი-დოპინგურ კოდექსს. სპორტსმენის, ან სხვა პირის საერთაშორისო ფედერაცია წარმოადგენს უკანასკნელ რეზერვს იმ შემთხვევისთვის, თუ კონკრეტულ ფაქტზე შედეგებზე რეაგირების უფლება არ აღმოაჩნდება არც ერთ სხვა ორგანიზაციას.

15.3.1 იმ სპორტსმენის ტესტირების შედეგების დამუშავება და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ გამოვლენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევების შესახებ მოსმენის ჩატარება, რომელიც არ არის მოცემული ქვეყნის მოქალაქე, ან რეზიდენტი, უნდა მოხდეს შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების გამოყენებით. ტესტირების შედეგების დამუშავება და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის, ან მსხვილი საერთაშორისო მოვლენის ორგ-კომიტეტის მიერ

გამოვლენილი ანტიდოპინგური წესების დარღვევების შესახებ მოსმენების ჩატარება, და სანქციების გამოტანა უნდა მოხდეს შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წესების შესაბამისად.

15.3.1. კომენტარი: ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მკაცრი წესები ტესტირების შედეგების დამუშავებასა და მოსმენის ჩატარების შესახებ, უცხოელი სპორტსმენებისათვის არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული მუხლის თანახმად, იმის განსაზღვრა, თუ რომელმა ორგანიზაციამ უნდა წაიყვანოს მოცემული საქმე, ხდება საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, რომელსაც შეუძლია

თვითონ წაიყვანოს საქმე, მისი ჩატარება დაავალოს ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, ან იმ ქვეყნის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, სადაც აღებული იქნა სინჯი.

15.4 ურთიერთადიარება

15.4.1. კოდექსზე ხელმომწერი ყველა მხარე პატივს უნდა სცემდეს და აღიარებდეს სხვა მხარეების მიერ ტესტირებასთან, თერაპიული გამოყენებისათვის ნებართვის გაცემასთან, მოსმენების ჩატარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

15.4.2. ხელის მომწერმა მხარეებმა უნდა აღიარონ კოდექსის არ მიმღები სხვა სტრუქტურების ანალოგიური მოქმედებები, რომელთა წესები არ ეწინააღმდეგება კოდექსს.

15.4.1. კომენტარი: აღნიშნული მუხლის ინტერპრეტაცია იწვევდა გარკვეულ გაუგებრობებს მისი თერაპიული გამოყენების ნებართვასთან შესაბამისობაში. თუ საერთაშორისო ფედერაციის წესებით სხვაგვარად არ არის დადგენილი, ან არ

არსებობს სათანადო შეთანხმება, ეროვნულ ანტი-დოპინგური ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება, თერაპიული გამოყენების ნებართვა გასცენ საერთაშორისო დონის სპორტსმენებზე.

15.4.2. კომენტარი: თუ ისეთი ორგანიზაციის გადაწყვეტილება, რომელიც არ აღიარებს კოდექსს, ერთ ნაწილში ემთხვევა, ხოლო მეორე ნაწილში არ ემთხვევა კოდექსის მოთხოვნებს, ხელის მომწერი მხარეები უნდა ეცადონ, შეუსაბამონ მიღებული გადაწყვეტილება კოდექსს. კონკრეტულად: თუ კოდექსით გათვალისწინებული წესით, კოდექსზე ხელის არ მომწერმა მხარემ აღმოაჩინა ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, სპორტსმენის სინჯში

აკრძალული სუბსტანციის არსებობის სახით და შეუფარდა მას იმაზე მოკლე დისკვალიფიკაციის ვადა, ვიდრე ეს კოდექსითაა გათვალისწინებული, ყველა ხელის მომწერმა მხარემ უნდა აღიაროს დაფიქსირებული დარღვევა, მაგრამ სპორტსმენის ეროვნულმა ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, შეეფარდოს თუ არა სპორტსმენს კოდექსით გათვალისწინებული, უფრო ხანგრძლივი სადისკვალიფიკაციო ვადა.

მუხლი 16. დოპინგ-კონტროლი სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილე ცხოველებისათვის

16.1 სპორტის ნებისმიერ სახეობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცხოველები, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს შეჯიბრებაში მონაწილე ცხოველების დოპინგზე შემოწმების წესები. ასეთი წესები უნდა შეიცავდეს აკრძალულ სიას, ტესტირების პროცედურის აღწერას და სინჯების აღებისათვის აკრედიტირებულ ლაბორატორიების სიას.

16.2. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შემთხვევების გამოვლენას, შედეგების დამუშავებას, სამართლიანი მოსმენების ჩატარებას, გადაწყვეტილებების მიღებასა და აპელაციის შეტანასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ წესები, რომლებიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს კოდექსის 1, 2, 3, 9, 10, 11, 13 და 17 მუხლებით გათვალისწინებულ წესებს.

მუხლი 17. ხანდაზმულობის ვადა

სპორტსმენის ან ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო არ შეიძლება გატარებულ იქნეს არანაირი ღონისძიებები, თუ ამ დარღვევიდან გასულია რვა (8) წელზე მეტი.

ნაწილი მეორე

განათლება და გამოკვლევები

მუხლი 18. განათლება

18.1 ძირითადი პრინციპი და პირველადი მიზანი

საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად პრინციპად, როგორც ეს აღწერილია კოდექსისი შესავალში, უნდა იქცეს დოპინგისაგან თავისუფალი სპორტული სულის შენარჩუნება. ასეთი პროგრამების მთავარი ამოცანაა სპორტსმენების მიერ განზრახ, თუ დაუდევრობით, აკრძალული სუბსტანციებისა და აკრძალული მეთოდების მიღების პრევენცია.

თითოეულმა ხელის მომწერმა მხარემ, სხვა მხარეებთან თანამშრომლობით, უნდა დაგეგმოს, განახორციელოს და კონტროლი გაუწიოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარებას.

18.2 პროგრამები და საქმიანობა

აღნიშნული პროგრამები მთში მონაწილე პირებს დროულად და ზუსტად უნდა აწვდიდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- აკრძალულ სიაში შესული სუბსტანციები და მეთოდები
- ანტი-დოპინგური წესების დარღვევები
- დოპინგის შედეგები: სანქციები, ჯანმრთელობა და სოციალური შედეგები
- დოპინგ-კონტროლის პროცედურები
- სპორტსმენთა და მათი დამხმარე პერსონალის უფლებები და მოვალეობები
- თერაპიული გამოყენების ნებართვები
- საკვებ დანამატებთან დაკავშირებული რისკები
- დოპინგის ნეგატიური გავლენა სპორტულ სულზე

პროგრამები მოწოდებულია, პროპაგანდა გაუწიონ სპორტულ სულს და შექმნან ჯანმრთელი, დოპინგისაგან თავისუფალი გარემო, მოახდინონ გრძელვადიანი ზეგავლენა სპორტსმენებზე და სხვა პერსონალიზე.

პროგრამები მიმართული უნდა იყოს ახალგაზრდებისაკენ, მათი ასაკიდან გამომდინარე. პროგრამები უნდა მოქმედებდეს სკოლებში, სპორტულ კლუბებში, მშობლებში, მოზარდ სპორტსმენებში, სპორტის სფეროში მოღვაწე თანამდებობის პირებში, მწვრთნელებში, სამედიცინო პერსონალში და სხვა (მედიამ ასევე აქტიური დახმარება უნდა გაწიოს ინფორმაციის გავრცელებაში).

სპორტსმენის პერსონალმა ასეთი პროგრამების შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სპორტსმენს და ჩაუტაროს მას კონსულტაციები კოდექსში აღიარებული წესების შესახებ.

ხელის მომწერმა მხარეებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი სპორტსმენების და მათი პერსონალის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროგრამებში.

18.3 ქცევის პროფესიული კოდექსი

ყველა ხელის მომწერმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს ერთმანეთთან და სახელმწიფოებთან იმ მიზნით, რომ შეაგუდიანონ კომპეტენტური პროფესიული ასოციაციები და დაწესებულებები, ანტი დოპინგური საქმიანობის სფეროში, შექმნან და დანერგონ შესაბამისი ქცევის კოდექსები და პრეცედენტები.

18.4 კოორდინაცია და თანამშრომლობა

WADA-მ უნდა შეასრულოს მაკოორდინირებელი ორგანოს როლი სხვადასხვა მთავრობების თუ ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროგრამების და დაგროვილი ინფორმაციის გაზიარების სფეროში.

ხელის მომწერი და მონაწილე მხარეები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მთავრობებთან დოპინგთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

მუხლი 19. გამოკვლევები

19.1 ანტიდოპინგური გამოკვლევების მიზანი

ანტიდოპინგური გამოკვლევების მიზანია შეიმუშავოს და განახორციელოს ეფექტური საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამები დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

ყველა ხელის მომწერი მხარე და სახელმწიფო ვალდებულია ყოველმხრივად შეუწყოს ხელი ასეთ გამოკვლევებს და ყოველი ღონე იხმაროს, რათა მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნას კოდექსით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

19.2 გამოკვლევის ტიპები

ამოკვლევა შეიძლება შეიცავდეს სოციალურ, იურიდიულ და ეთიკურ სწავლებებს, სამედიცინო, ანალიტიკურ და ფიზიოლოგიურ კვლევებთან ერთად. აგრეთვე უნდა ჩატარდეს კოდექსის პრინციპებიდან გამომდინარე, მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი ფიზიოლოგიური და ფსლიქოლოგიური ვარჯიშის მეთოდების ეფექტურობის შემოწმება და, ახლადამოჩენილი სუბსტანციების და მეთოდების გამოკვლევა.

19.3 კოორდინაცია

WADA-ს მეშვეობით ანტიდოპინგური გამოძიებების ჩატარების კოორდინაცია მისასაღმებელია. ნიტელექტუალური საკუთრების სამართლით დადგენილი წესების შესაბამისად, ანტიდოპინგური გამოძიების შედეგების ასლები წარმოდგენილი უნდა იქნას WADA-ში.

19.4 გამოკვლევის ჩატარების პრაქტიკა

ანტიდოპინგური გამოკვლევები უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ეთიკური პრაქტიკის შესაბამისად.

19.5 გამოკვლევები აკრძალული სუბსტანციების და მეთოდების გამოყენებით.

აუსვებელია, გამოკვლევების მიზნებისათვის, აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების სპორტსმენებისთვის დანიშვნა.

19.6 შედეგების ბოროტად გამოყენება

მკაცრი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა არ მოხდეს ანტი-დოპინგური გამოკვლევებისას მიღებული შედეგების ბოროტად გამოყენება, ან მათი პრაქტიკაში დანერგვა.

ნაწილი მესამე

როლები და პასუხისმგებლობა

მუხლი 20: ხელის მომწერ მხარეთა როლი და პასუხისმგებლობა

20 კომენტარი: ხელის მომწერი კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. ამ მხარეებისა და მონაწილეების მუხლში მოცემული ინფორმაცია პასუხისმგებლობა უკვე მოცემულია დამატებითია..

მუხლი 20.1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა

20.1.1 ამ კოდექსის შესაბამისად, ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.1.2 საერთაშორისო ფედერაციებისათვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობის პირობად გახადოს კოდექსით მიღებული აღნიშნული ანტიდოპინგური წესების აღიარება.

20.1.3 ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას სუბსიდირებზე უარი იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.1.4 23.5 მუხლის გათვალისწინებით მიიღოს საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.1.5 სანქცირებული გახადოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

20.1.6. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მდივოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.1.7. დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტიდოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.1.8. მიიღოს განაცხადები მხოლოდ იმ ქვეყნებიდან, რომელთა მთავრობამაც მიიღო, დაამტკიცა, დაამოწმა ან დაეთანხმა UNESCO-ს კონვენციას და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან კოდექსის შესაბამისობაში.

20.1.9. პროპაგანდა გაუწიოს ანტი-დოპინგურ სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.1.10. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.2 საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა.

20.2.1. ამ კოდექსის შესაბამისად, პარაოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად, გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.2.2. საერთაშორისო ფედერაციებისათვის საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტში წევრობის პირობებად გახადოს, აღნიშნული კოდექსით მიღებული ანტიდოპინგური წესების აღიარება.

20.2.3. ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე იმ სპორტულ ორგანიზაციებს, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.2.4. 23.5 მუხლით გათვალისწინებით, მიიღოს საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.2.5. სანქცირებული გახადოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

20.2.6. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მდეიკოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.2.7. დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.2.8. პროპაგანდა გაუწიოს ანტი-დოპინგურ სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.2.9. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.3 საერთაშორისო ფედერაციების როლი და პასუხისმგებლობა.

20.3.1 აღნიშნული კოდექსის შესაბამისად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.3.2 ეროვნული ორგანიზაციებისათვის საერთაშორისო ფედერაციაში წევრობის პირობად გახადოს, მათ მიერ აღნიშნული კოდექსით მიღებული ანტიდოპინგური წესების აღიარება.

20.3.3 მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ამ ფედერაციის ორგანიზებულ ღონისძიებაში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მდეიკოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.3.4 მოითხოვოს სპორტსმენისაგან, რომელიც არ არის საერთაშორისო ფედერაციის ან მასში შემავალი ეროვნული ორგანიზაციის მუმივი წევრი, დაიცვან ყველა მოთხოვნა სპორტსმენის ადგილსამყოფელის ზუსტი ინფორმაციის დროულად მოწოდების შესახებ, მოცემული საერთაშორისო ფედერაციის ან მსხვილი სპორტული ღონისძიებების ორგანიზატორების მოთხოვნების შესაბამისად, მისთვის სინჯების აღების მიზნით.

20.3.4 კომენტარი : მაგალითად, პროფესიონალური ლიგის სპორტსმენების ჩათვლით.

20.3.5. მოითხოვოს მის წევრ ყველა ეროვნულ ფედერაციას, მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ამ ფედერაციის, ან მისი წევრის, ორგანიზებულ ღონისძიებაში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მდეიკოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.3.6 23.5 მუხლის გათვალისწინებით, მიიღოს საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.3.7 საერთაშორისო სპორტული მოვლენის დროს სანქცირებული გახადოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

20.3.8 ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე, ზოგიერთ ან ყველა სპორტულ ორგანიზაციას, რომელთა წესებიც არ შეესაბამება კოდექსს.

20.3.9. დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.3.10. 2010 წლის 1 იანვრიდან გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მისცეს მსოფლიო ჩემპიონატები მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც რატიფიცირება გაუკეთეს, მიიღეს, დაამოწმეს, ან აღიარეს UNESCO-ს კონვენცია და რომლის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან შესაბამისობაში კოდექსთან.

20.3.11. ხელი შეუწყოს ანტი-დოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.3.12. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.4. ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების როლი და პასუხისმგებლობა

20.4.1. უზრუნველყონ თავიანთი ანტიდოპინგური წესების შესაბამისობა აღნიშნულ კოდექსში გადმოცემულთან.

20.4.2. ეროვნული ფედერაციებისათვის, აღნიშნულ კოდექსში მიღებული ანტიდოპინგური წესების აღიარება გახადოს ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წევრობის პირობად.

20.4.3. მოითხოვოს სპორტსმენებისაგან, რომლებიც არ არიან ნაციონალური ფედერაციის მუდმივი წევრები, დაიცვან ყველა მოთხოვნა სპორტსმენის ადგილსამყოფელის ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდების შესახებ, წინა საოლიმპიადო წელს, როგორც ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის პირობა.

20.4.4. ითანამშრომლოს თავის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან.

20.4.5. მოსთხოვოს მის წევრ ყველა ეროვნულ ფედერაციას, მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ ამ ფედერაციის, ან მისი წევრის, ორგანიზებულ ღონისძიებაში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მდეიკოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.4.6. სადისკვალიფიკაციო პერიოდში ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, სპორტსმენს ან სპორტსმენის პერსონალს, ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე.

20.4.7. ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე იმ ეროვნულ ფედერაციას, რომელთა წესები არ შეესაბამება კოდექსს.

20.4.8. დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.4.9. ხელი შეუწყოს ანტი-დოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.4.10. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.5 ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა

20.5.1 აღნიშნული კოდექსის შესაბამისად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.5.2 ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.5.3 ხელი შეუწყოს ეროვნული ანტიდოპინგურ ორგანიზაციების მიერ ერთობლივი ტესტირების ჩატარებას.

20.5.4 ხელი შეუწეოს გამოკვლევების ჩატარებას ანტი-დოპინგის სფეროში.

20.5.5. დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, სადისკვალიფიკაციო პერიოდში ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამო, სპორტსმენს ან სპორტსმენის პერსონალს, ნაწილობრივ ან მთლიანად უთხრას უარი სუბსიდირებაზე.

20.5.6. დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.5.7. ხელი შეუწეოს ანტი-დოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.6 მსხვილი სპორტული მოვლენების ორგანიზატორთა როლი და პასუხისმგებლობა

20.6.1 აღნიშნული კოდექსის შესაბამისად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.6.2 23.5 მუხლის გათვალისწინებით მიიღოს საჭირო ზომები კოდექსთან შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად.

20.6.3 სანქცირებული გახადოს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამები და ხელი შეუწეოს მათ განხორციელებას.

20.6.4. მოითხოვოს ყველა სპორტსმენისგან და მათი დამხმარე პერსონალისგან, რომლებიც მონაწილეობენ შეჯიბრში, როგორც მწვრთნელები, გუნდის წევრები, ოფიციალური პირები, მდივოსები თუ პარამედიკოსები, რომ მოცემული წესების სავალდებულო შესრულება, მიიღონ შეჯიბრში მონაწილეობის აუცილებელ პირობად.

20.6.5. დევნოს მის იურისდიქციის ქვეშ მომხდარი ნებისმიერი შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა, გამოავლინოს მათში სპორტსმენის დამხმარე პერსონალის, ან სხვა პირების მონაწილეობის ფაქტები.

20.6.6. 2010 წლის 1 იანვრიდან გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ მისცეს ღონისძიებები მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც რატიფიცირება გაუკეთეს, მიიღეს, დაამოწმეს, ან აღიარეს UNESCO-ს კონვენცია და რომლის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იმყოფებიან შესაბამისობაში კოდექსთან.

20.6.7. ხელი შეუწეოს ანტი-დოპინგის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.6.8. ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ ორგანიზაციებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

20.7 WADA–ს როლი და პასუხისმგებლობა.

20.7.1 აღნიშნული კოდექსის შესაბამისად გაატაროს ანტიდოპინგური პოლიტიკა და მიიღოს ანტიდოპინგური წესები.

20.7.2 კონტროლი გაუწიოს ხელის მომწერი მხარეების მიერ კოდექსის შესრულებას.

20.7.3 მიიღოს კოდექსის წესების დანერგვისათვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტები.

20.7.4 მოახდინოს ლაბორატორიების აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია ან დაავალოს სხვებს სინჯების ანალიზის ჩატარება.

20.7.5 შეიმუშაოს და დაამტკიცოს მუშაობის ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდები.

20.7.6 შეიმუშაოს, განახორციელოს, დააფინანსოს და კოორდინირება გაუწიოს ანტი-დოპინგურ გამოკვლევებს, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობას.

20.7.7 შექმნას და განახორციელოს ეფექტური დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამები.

20.7.8 განახორციელოს დოპინგ კონტროლი, ითანამშრომლოს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ანტი-დოპინგურ ორგანიზაციებთან.

მუხლი 21 : სპორტსმენების და სხვა პირთა დამატებითი როლი და პასუხისმგებლობა

21.1 სპორტსმენის როლი და პასუხისმგებლობა

21.1.1 იცნობდეს მოცემული კოდექსით გათვალისწინებულ ანტიდოპინგურ წესებს და იცავდეს მათ.

21.1.2 იყოს ხელმისაწვდომი სინჯების აღებისათვის.

21.1.3 პასუხისმგებლობა აიღოს მის მიერ მოხმარებულ საშუალებებზე

21.1.4 აცნობონ თავის სამედიცინო პერსონალს რომ არ სურთ აკრძალული ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენება და პასუხი აგონ იმაზე, რომ მათ მიერ მიღებული ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება, არ ეწინააღმდეგება კოდექსში მოცემულ ანტი-დოპინგურ წესებს.

21.2 სპორტსმენის პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა.

21.2.1 იცნობდეს მოცემული კოდექსით გათვალისწინებულ ანტიდოპინგურ წესებს და იცავდეს მათ.

21.2.2 იხელი შეუწყოს სპორტსმენების ტესტირების პროგრამების ჩატარებას.

21.2.3 გამოიყენოს თავისი გავლენა სპორტსმენებზე, ანტი-დოპინგურ ფასეულობათა პროპაგანდის მიზნით.

მუხლი 22. მთავრობის მონაწილეობა

ყოველი მთავრობა დაადასტურებს კოდექსთან თავის დამოკიდებულებას, 2003 წლის 3 მარტს მიღებულ კოპენჰაგენის დეკლარაციაზე ხელის მოწერით და UNESCO-ს კონვენციაზე მიერთებით, რატიფიკაციით, აღიარებით ან დამოწმებით. შემდგომი მუხლები ასახავენ მთავრობებისგან მოსალოდნელ ქმედებებს

22.1. მთავრობა გადადგამს კოდექსთან შესაბამისობაში ყოფნისათვის ყველა ნაბიჯს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას.

22.2. ყველა მთავრობა მიუთითებს საკუთარ სამსახურებს და სააგენტოებს, ითანამშრომლონ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციასთან, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო ინფორმაციის გაცვლის სფეროში.

22.3. ყველა მთავრობა აღიარებს არბიტრაჟს, როგორც დოპინგთან დაკავშირებული უთანხმოებების გარკვევის ორგანოს.

22.4. ანტი-დოპინგთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სამთავრობო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს კოდექსთან შესაბამისობაში.

22.5. მუხლში აღნიშნული ყველა მოსალოდნელი მოქმედება მთავრობებმა უნდა განახორციელონ 2010 წლის 1 იანვრამდე.

22.6. თუ სახელმწიფო არ დაამოწმებს, აღიარებს ან შეუერთდება UNESCO-ს კონვენციას 2010 წლის 1 იანვრამდე, შესაძლოა მიიღოს დისკალიფიკაცია შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებით განაცხადის მიღებაზე, როგორც განსაზღვრულია 20.1.8; 20.3.10 და 20.6.6. მუხლების მიხედვით, და გამოიწვიოს დამატებითი შედეგები, მაგალითად : WADA-ში პოსტების ჩამორთმევა, საერთაშორისო ღონისძიებების გაუქმება და ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებული სხვა შედეგები.

შენიშვნა. მთავრობების უმრავლესობას, თავისი სტატუსის გამო, არ შეუძლია იყოს კოდექსზე ხელისმომწერი მხარე. ამიტომ მათ მოეთხოვებათ კოპენჰაგენის კონვენციაზე ხელის მოწერა, შჩ -ს კონვენციის რატიფიკაცია, აღიარება ან

დამოწმება, ცნობა. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის აღიარების მეთოდები სხვადასხვაა, კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო და სპორტული მოძრაობა იბრძვიან საერთო მიზნებისთვის.

ნაწილი მეოთხე

მიღება, მოწონება, ცვლილებები და ინტერპრეტაციები

მუხლი 23. მიღება, მოწონება და ცვლილებები.

23.1 კოდექსის მიღება

23.1.1 შემდეგი სტრუქტურებმა: WADA, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, საერთაშორისო ფედერაციებმა, საერთაშორისო პარაოლიმპიურმა კომიტეტმა, ნაციონალურმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა, ნაციონალურმა პარაოლიმპიურმა კომიტეტებმა, მსხვილი სპორტული მოვლენების ორგანიზაციებმა, მიღების შესახებ დეკლარაციაზე ხელის მოწერით და მისი სათანადო ორგანოში რატიფიკაციით უნდა აღიარონ კოდექსი.

23.1.1 კომენტარი: თითოეულმა ხელის მომწერმა მხარემ მიღების შესახებ დეკლარაციის სტანდარტული ფორმის ერთ ასლს ცალკე უნდა მოაწეროს ხელი და გაგზავნოს იგი WADA-ში. მიღების ასლი ასახული იქნება ყველა ორგანიზაციის მთავარ დოკუმენტში.

23.1.2 სხვა სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებიც არ იმყოფებიან ხელის მომწერ მხარეთა იურისდიქციის ქვეშ, WADA-ს მოწვევით აგრეთვე შეუძლიათ კოდექსის მიღება.

23.1.2 კომენტარი: იმ პროფესიონალურ ლიგებს, რომლებიც არც ერთი საერთაშორისო ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფებიან, ასევე ექნებათ შეთავაზებული კოდექსის მიღება.

23.1.3. კოდექსის მიმღები ორგანიზაციების სია საჯაროდ გამოქვეყნებული იქნება WADA-ს მიერ.

23.2. კოდექსის აღსრულება

23.2.1. კოდექსზე ხელისმომწერმა ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა დაიცვას კოდექსი მათი პასუხისმგებლობის სფეროში შესული შესაბამისი გადაწყვეტილებების, წევრების და ნორმების მიღების საშუალებით.

22.2.2. ქვემოთ მოცემული მუხლები (და შესაბამისი კომენტარები) შეტანილ უნდა იქნას ყველა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის წესებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე:

მუხლი 1 (დოპინგის განსაზღვრება)

მუხლი 2 (ანტი-დოპინგური წესების დარღვევა)

მუხლი 3 (დოპინგის მტკიცებულებები)

მუხლი 4.2.2. (სპეციფიკური სუბსტანციები)

მუხლი 4.3.3. (WADA-ს აკრძალული სია)

მუხლი 7.6. (სპორტიდან წასვლა)

მუხლი 9 (ინდივიდუალური შედეგების ავტომატური დისკვალიფიკაცია)

მუხლი 10 (სანქციები ინდივიდუალური პირებისათვის)

მუხლი 11 (შედეგები გუნდებისთვის)

მუხლი 13 (აპელაციები) 13.2.2. და 13.5. მუხლების გამოკლებით

მუხლი 15.4 (ორმხრივი აღიარება)

მუხლი 17 (ხანდაზმულობის ვადა)

მუხლი 24 (კოდექსის ინტერპრეტაცია)

დამატება 1 (განმარტებები)

წესებში არ უნდა იქნას შეტანილი არც ერთი ისეთი დამატება, რომელიც ცვლის ამ მუხლების შინაარსს.

23.2.3. კოდექსის ხელის მომწერი მხარეები უნდა ისწრაფვოდნენ დანერგონ WADA-ს მიერ რეკომენდირებული მუშაობის ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდები.

23.3 კოდექსთან შესაბამისობა

23.3.1 მხარეები არ ითვლებიან კოდექსთან შესაბამისობაში მყოფებად მანამ, სანამ არ დაამტკიცებენ და დანერგავენ კოდექსს 23.1. 23.2 მუხლების შესაბამისად. დენონსირების შემთხვევაში, მხარეები კოდექსთან შესაბამისობაში მყოფებად აღარ ჩაითვლებიან.

23.4 კოდექსთან და UNESCO-ს კონვენციასთან შესაბამისობაზე კონტროლი

23.4.1 კოდექსის შესაბამისობაზე კონტროლი ხორციელდება WADA-ს მიერ ან WADA-ს თანხმობით. UNESCO-ს კონვენციაზე კონტროლი ხორციელდება კონვენციაში, მხარეთა მიერ ჩადებული წესის მიხედვით.

WADA-მ უნდა ურჩიოს მთავრობებს მიიღონ კოდექსი და აღიარონ, მიიღონ, დაამტკიცონ, UNESCO-ს კონვენცია.

23.4.2 თითოეულმა ხელის მომწერმა მხარემ ორ წელიწადში ერთხელ WADA-ს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კანონმდებლობის კოდექსთან შესაბამისობაზე, ან განმარტოს შეუსაბამობის მიზეზები.

23.4.3. ხელის მომწერი მხარის მიერ WADA-ს მოთხოვნის საფუძველზე, კოდექსთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის არ მიწოდება შეიძლება ჩაითვალოს კოდექსთან შეუსაბამობად.

23.4.4. WADA-ს ყველა დასკვნა კოდექსთან შესაბამისობის შესახებ, დამტკიცებული უნდა იყოს WADA-ს დამფუძნებელ სხდომაზე. შეუსაბამობის შესახებ დასკვნის წარმოდგენამდე, WADA უნდა გაესაუბროს ხელის მომწერ მხარეს. ებისმიერი დასკვნა, მხარის კოდექსთან შეუსაბამობის შესახებ, დამოწმებული უნდა იყოს WADA-ს დამფუძნებელი სხდომის მიერ მას შემდეგ, რაც მხარეს მიეცემა საშუალება, წერილობითი ფორმით წარმოადგინოს არგუმენტები მის მიერ დაშვებულ შეუსაბამობასთან დაკავშირებით. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხარის კოდექსთან შეუსაბამობის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 13.5 მუხლით გათვალისწინებული წესით.

23.4.5. WADA ღიად აქვეყნებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო ფედერაციების, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის და დიდი სპორტული მოვლენის ორგანიზაციების კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშებს.

23.4.6. WADA-მ უნდა განიხილოს წარმოდგენილი განმარტებები შეუსაბამობის შესახებ და ექსტრაორდინალურ შემთხვევებში რეკომენდაცია გაუწიოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტს, საერთაშორისო ფედერაციებს და მსხვილი სპორტული მოვლენის ორგანიზაციულ კომიტეტებს დროებით დაუშვან მცირე უზუსტობები.

23.4.6 კომენტარი: WADA აღიარებს, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს და მთავრობებს აქვთ სხვადასხვა გამოცდილება და რესურსები ანტიდოპინგური საქმიანობის საწარმოებლად. შესაბამისობის შესახებ საქმის განხილვისას WADA ითვალისწინებს მოცემულ გარემოებებს.

23.5 ხელის მომწერი მხარის მიერ კოდექსის არშესრულების შედეგები

23.5.1 რომელიმე მთავრობის ან ამ ქვეყნის ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის წესების კოდექსთან შეუსაბამობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგები, გათვალისწინებული ოლიმპიური თამაშებისათვის, პარაოლიმპიური თამაშებისათვის, მსოფლიო ჩემპიონატებისათვის ან დიდი სპორტული მოვლენის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის, რომლებიც ატარებენ მოცემულ შეჯიბრებას.

ასეთი შედეგები შეიძლება გახდეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან მთავრობის მხრიდან აპელაციის საბაზი, როგორც ეს გათვალისწინებულია 13.5 მუხლით.

23.6 ცვლილებების შეტანა კოდექსში

23.6.1 WADA-ს პასუხისმგებლობა ეკისრება კოდექსის გადახედვასა და მის სრულყოფაზე. სპორტსმენების და ხელის მომწერი მხარეების მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში უნდა იყოს მისასაღებელი.

23.6.2 WADA ვალდებულია სპორტსმენებს, ხელის მომწერ მხარეებს და მთავრობებს გააცნოს შემოთავაზებული შესწორებები და აღნიშნული შესწორებების მიღების თაობაზე გამართოს მათთან კონსულტაციები.

23.6.3 კოდექსის შესწორებები, შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ, მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს WADA-ს დამფუძნებელთა საბჭოს ორი მესამედი, ხმის უფლების მქონე საზოგადოებრივი სექტორის უმრავლესობის და ოლიმპიური მოძრაობის წევრების ჩათვლით. შესწორებები უნდა შევიდეს ძალაში მათი მიღებიდან სამი თვის შემდეგ, თუ სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული.

23.6.4 ხელის მომწერმა მხარეებმა თავიანთი წესები განახლებულ კოდექსთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ 2009 წლის 1 იანვრამდე. შემდგომი დამატებები მხარეებმა უნდა წარადგინონ WADA-ს დამფუძნებელი საბჭოს მიერ კოდექსის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში.

23.7 კოდექსის დენონსირება

ხელის მომწერ მხარეებს შეუძლიათ მოახდინონ კოდექსის დენონსირება ექვსი თვით ადრე WADA-თვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

მუხლი 24. კოდექსის ინტერპრეტაციები

24.1 კოდექსის ოფიციალური ტექსტი დამტკიცებული უნდა იყოს WADA-ს მიერ და გამოქვეყნებული უნდა იყოს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ინგლისური და ფრანგული ვერსიების შეუსაბამისობის შემთხვევაში პრევალირებულად ითვლება ინგლისური ვერსია.

24.2 შენიშვნები, კოდექსის სხვადასხვა თანმხლები დებულებები, მოცემულია მისი უკეთ გაგების მიზნით.

24.3 კოდექსი უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც დამოუკიდებელი და ავტონომიური ტექსტი და არა, როგორც მითითება დაინტერესებული მთავრობებისა და მხარეების მიერ მიღებულ კანონებზე და დებულებებზე.

24.4 კოდექსის სხვადასხვა ნაწილებისა და მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ მოხერხებული პირობებისათვის და არ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

24.5 მოცემულ კოდექსს არა აქვს უკუძალა. იგი არ შეიძლება იყოს გამოყენებული დაინტერესებული მხარის მიერ მის მიღებამდე მომხდარი მოვლენების მიმართ. თუმცა სანქციის შეფარდებისას კოდექსის მიღებამდე მომხდარი ანტიდოპინგური წესების დარღვევა ითვლება „პირველ დარღვევად“, კოდექსის მიღების შემდეგ.

24.6 ანტი-დოპინგური კოდექსის მიზანი, ასევე დანართი 1 “განსაზღვრებები და ტერმინები” უნდა ჩაითვალოს კოდექსის განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 25: გარდამავალი დებულებები

25.1 2009 წლის კოდექსის ძალაში შესვლა

2009 წლის მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი ძალაში შედის 2009 წლის პირველი იანვრიდან.

25.2. კოდექსს არ აქვს უკუძალა თუ არ მოქმედებს „ლექს მიტორის,, პრინციპი

კოდექსის ძალაში შესვლის მომენტისათვის მიმდინარე ანტი-დოპინგური საქმე, რომელთან დაკავშირებული დარღვევაც ჩადენილ იქნა კოდექსის ძალაში შესვლამდე, განხილულ უნდა იქნას იმ წესებით, რომლებიც მოქმედებდა დარღვევის ჩადენის დღისთვის, თუ განმხილველი ორგანო არ ჩათვლის, რომ „ლექს მიტორის“ პრინციპი სწორად შეესაბამება მოცემული საქმის გარემოებებს.

25.3. დამოკიდებულება კოდექსის ძალაში შესვლამდე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ

იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებულ იქნა კოდექსის ძალაში შესვლამდე, მაგრამ სპორტსმენი ჯერ კიდევ იხდის დისკვალიფიკაციას, შესაძლოა, დარღვევის შედეგებზე პასუხისმგებელ ორგანიზაციაში, აპელაციის შეტანა სპორტსმენის მხრიდან, რათა შეუმცირდეს დისკვალიფიკაციის ვადა, თუ ამას ახალი კოდექსი ითვალისწინებს. განცხადება უნდა გაკეთდეს მანამ, სანამ დისკვალიფიკაციის ვადა კვლავ მოქმედებს. ნტი-დოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 2009 წლის კოდექსის 13.2 მუხლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი არ შეესაბამება ისეთ შემთხვევებს, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია და სადისკვალიფიკაციო ვადა უკვე ამოიწურა.

25.4 დამოკიდებულება ძალაში შესვლამდე მომხდარ დარღვევებთან

10.7.1 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, კოდექსის ძალაში შესვლამდე მომხდარ ისეთ დარღვევებში, სადაც ფიგურირებს სუბსტანციები, რომლებსაც 2009 წლის კოდექსი განიხილავს როგორც სპეციფიკურს, და ასეთ დარღვევაზე შეფარდებულ იქნა 2 წელზე ნაკლები სადისკვალიფიკაციო ვადა, ახალი კოდექსი ასეთ სასჯელს განიხილავს როგორც შემოკლებულს (RS).

25.5. კოდექსის დამატებითი ცვლილებები

კოდექსში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა 23.6 მუხლით გათვალისწინებული წესით.

კომენტარი 25.4: თუ დარღვევა მოხდა ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე, და შეფარდებული დისკვალიფიკაციის ვადა

უკვე გასულია, ახალი კოდექსი არ იქნება გამოყენებული

დანართი პირველი

ტერმინები და განსაზღვრებები

ADAMS – ანტი-დოპინგური ადმინისტრაციის და მენეჯმენტის სისტემა. ინტერნეტზე დაფუძნებული მონაცემთა ბაზა რომელიც ეხმარება WADA-ს და სხვა ორგანიზაციებს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციაში

CAS – სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო.

UNESCO-ს კონვენცია 2005 წლის 19 ოქტომბერს, შჩ -ს 33-ე სესიის გენერალურ სხდომაზე მიღებული კონვენცია სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მასში შედის ყველა ის ცვლილება რაც შეიტანეს სახელმწიფო მხარეებმა.

WADA - მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო

ანალიზის არასასურველი შედეგი – შეტყობინება ტესტირების ჩატარებაზე უფლებამოსილი ლაბორატორიიდან, ან სხვა სტრუქტურიდან, გამოკვლეულ სინჯში აკრძალული სუბსტანციების, მისი მეტაბოლიტების ან მარკერების (ენდოგენური სუბსტანციების მომატებული რაოდენობის ჩათვლით), ან აკრძალული მეთოდის გამოყენების დამადასტურებელი მონაცემების არსებობის შესახებ.

ანტიდოპინგური ორგანიზაცია – დაინტერესებული მხარე, პასუხისმგებელი დოპინგ-კონტროლის ნებისმიერი ნაწილის პროცესის წესების მიღებაზე, შემუშავებასა და განხორციელებაზე. კერძოდ, ანტიდოპინგური ორგანიზაციებია: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, თავისი შეჯიბრების დროს ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი სხვა დიდი სპორტული ორგანიზაციები, WADA, საერთაშორისო ფედერაციები და ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციები.

ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები – სპორტსმენის ან სხვა პერსონის მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი, ერთი ან მეტი შედეგი: ა) ანულირება– სპორტსმენის რომელიმე შეჯიბრის ან სპორტული მოვლენის შედეგების მხედველობაში არ მიღება, ყველა ჯილდოსა და პრიზის ჩამორთმევით; ბ) დისკვალიფიკაცია – სპორტსმენის ან სხვა პირის ჩამოშორება გარკვეული ვადით ნებისმიერი შეჯიბრებიდან, სხვა საქმიანობიდან ან ფინანსირების მიცემიდან, როგორც ეს გათვალისწინებულია მუხხლში 10.9; გ) დროებითი გაძევება – მოსმენებზე დასკვნითი გადაწყვეტილების გამოტანამდე. (მუხლი 8), სპორტსმენის დროებითი მოხსნა შეჯიბრებებში მონაწილეობიდან.

არასრულწლოვანი – ნებისმიერი პირი, რომელსაც მის ქვეყანაში დადგენილი წესებით არ მიუღწევია სრულწლოვანობისათვის.

არასაშეჯიბრო ტესტირება – დოპინგ-კონტროლი, რომელიც ტარდება არასაშეჯიბრო პერიოდში.

აკრძალული სია – აკრძალული სუბსტანციებისა და აკრძალული მეთოდების მაიდენტიფიცირებელი სია.

აკრძალული მეთოდი – ნებისმიერი მეთოდი, რომელიც აკრძალულ სიაშია აღნიშნული.

აკრძალული სუბსტანცია – ნებისმიერი სუბსტანცია, რომელიც აკრძალულ სიაშია აღნიშნული.

გუნდური სპორტის სახეობები – სპორტის სახეობები, რომლებშიც დაშვებულია შეჯიბრების დროს მონაწილეთა (მოთამაშეების) შეცვლა.

გავრცელება – გაყიდვა, ჩუქება, გამოყენება, ტრანსპორტირება, გადაზიდვა, გადაგზავნა, აკრძალული სუბსტანციების სპორტსმენებისათვის მიტანა, უშუალოდ ან შუამავალი პირის მეშვეობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ეს ხდება ლეგალურად, სამედიცინო მიზნებისათვის, მაგარამ პროცესში ჩართული არ არის სპორტსმენის სამედიცინო და სხვა პერსონალი.

დამოუკიდებელი სამეთვალყურეო პროგრამა – WADA-ს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დამკვირვებელთა ჯგუფი, რომლებიც აკვირდებიან დოპინგ-კონტროლის პროცედურებს კონკრეტულ სპორტულ მოვლენებზე და დაკვირვებების შესახებ ადგენენ ანგარიშს. თუ WADA ატარებს ტესტირებას შეჯიბრების პერიოდში, მაშინ დამკვირვებლები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ.

დაუდევრობის ან დანაშაულის არ არსებობა – სიტუაცია, როდესაც დგინდება ის ფაქტი, რომ სპორტსმენმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა აკრძალული სუბსტანციის ან აკრძალული მეთოდის გამოყენების შესახებ.

დისკვალიფიკაცია – იხ. ანტიდოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

დოპინგ-კონტროლი – პროცესი, რომელიც შეიცავს ტესტირების ჩატარების დაგეგმარებას, სინჯების აღებას და მათთან მოპყრობას, ლაბორატორიულ ანალიზს, შედეგების დამუშავებას, მოსმენებსა და აპელაციებს.

ეროვნული სპორტული მოვლენა – სპორტული მოვლენა, საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენის მონაწილეობით, თუ ეს არ წარმოადგენს საერთაშორისო სპორტულ მოვლენას.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი – სოკ-ის მიერ აღიარებული ორგანიზაცია. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიძლება ასევე ნიშნავდეს ნაციონალურ სპორტულ კონფედერაციას იმ ქვეყანაში, სადაც ეროვნული

ოლიმპიური კომიტეტის ფუნქციები, ანტიდოპინგური მოქმედებების ჩატარებისათვის, ეკისრება ეროვნულ სპორტულ კონფედერაციას.

ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაცია – უფლებამოსილი სტრუქტურა(ები) თავის ქვეყანაში ანტიდოპინგური წესების მიღებასა და დამუშავებაზე, სინჯების აღებაზე, ტესტირების შედეგების დამუშავებასა და მოსმენების ჩატარებაზე. თუ მოცემული ქვეყნის კომპეტენტურმა ხელისუფლებამ სხვაგვარად არ გადაწყვიტა, ასეთ სტრუქტურად ითვლება ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტი, ან მის მიერ დანიშნული სტრუქტურა.

კოდექსი – მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსი.

მცდელობა – ქმედებაში მონაწილეობა, რომელთა შედეგებით იგეგმება ანტიდოპინგური წესების დარღვევა. ქმედება არ ჩაითვლება ანტიდოპინგური წესების დარღვევად, თუ პირი უარს იტყვის მის ჩადენაზე მანამ, სანამ ამის შესახებ ცნობილი გახდება მცდელობაში არ მონაწილე მესამე პირისათვის.

მარკერი – კომპონენტი, კომპონენტების ჯგუფი ან ბიოლოგიური პარამეტრები, რომლებიც ადასტურებენ აკადლული სუბსტანციების ან აკრძალული მეთოდების გამოყენებას.

მეტაბოლიტი – ნებისმიერი სუბსტანცია, მიღებული ბიოტრანსფორმაციის პროცესში.

მიზნობრივი ტესტირება – სპეციალურად ამორჩეული დრო, არაშემთხვევითი სახით ტესტირებისათვის, განსაკუთრებული სპორტსმენების ან სპორტსმენთა ჯგუფის არჩევით.

მონაწილე – ნებისმიერი სპორტსმენი ან მისი პერსონალის წარმომადგენელი.

მიზნობრივი ტესტირება – სპეციალურად ამორჩეული დრო, არაშემთხვევითი სახით ტესტირებისათვის, განსაკუთრებული სპორტსმენების ან სპორტსმენთა ჯგუფის არჩევით.

მოსმარება – გამოყენება, შეჭმა, ინექცია და მოსმარება ნებისმიერი სხვა საშუალებით ყველაფრის, რაც აკრძალულ სუბსტანციებში და აკრძალულ მეთოდებში შედის.

პირი – ფიზიკური პირი, ან ორგანიზაცია, ან სხვა სტრუქტურა.

სპორტსმენი – დოპინგ-კონტროლის მიზნებისათვის – ნებისმიერი პირი, დაკავებული სპორტით საერთაშორისო (როგორც ეს დადგენილია თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ) ან ეროვნულ დონეზე (როგორც ეს დადგენილია თითოეული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ) ან უფრო დაბალ დონეზე, თუკი ასეა განსაზღვრული ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. ანტიდოპინგური საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისათვის – სპორტით დაკავებული ნებისმიერი პირი, მყოფი

ნებისმიერი დაინტერესებული მხარის, ან მთავრობის, ან კოდექსის მიმღები რომელიმე სხვა ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ.

სპორტსმენის პერსონალი – სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილე ან მონაწილეობის მისაღებად მზად მყოფ სპორტსმენებთან მომუშავე ნებისმიერი მწვრთნელი, მენეჯერი, აგენტი, ჩინოსანი, გუნდის შტატის წევრი, სამედიცინო და პარასამედიცინო პერსონალი.

სპორტული მოვლენა – ცალკეული შეჯიბრების სერია, ჩატარებული ერთ ორგანიზაციასთან ერთად (მაგ. ოლიმპიური თამაშები, I -ს მსოფლიო ჩემპიონატები, პანამერიკული თამაშები).

საშეჯიბრო ტესტირება – (თუ სხვაგვარადაც არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ფედერაციის ან სხვა რეგულაციური ანტიდოპინგური ორგანიზაციის წესებით) – ეს არის ტესტირება, როდესაც სპორტსმენი მისი ჩატარებისათვის ამოირჩევა კონკრეტულ შეჯიბრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სპორტული მოვლენა – სპორტული მოვლენა, რომლის ჩატარებაზე პასუხს აგებს ან რომელზეც ტექნიკურ პერსონალს ნიშნავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაციები, მსხვილი საერთაშორისო მოვლენების ორგანიზაციები ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია.

საერთაშორისო დონის სპორტსმენი – სპორტსმენი, რომელიც ერთი ან რამდენიმე საერთაშორისო ფედერაციის მიერ შეტანილია ტესტირების მონაცემთა ბაზაში.

საჯარო გამოქვეყნება ან დასკვნა ინფორმაციის გაავრცელების საშუალება ფართო საზოგადოებაში, გარდა იმ მხარეებისა, რომლებიც მითითებულია 14 მუხლში.

საერთაშორისო სტანდარტი – სტანდარტი, მიღებული WADA-ს მიერ კოდექსის მხარდასაჭერად. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ალტერნატიულის საწინააღმდეგოდ) უნდა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი იმის განსაზღვრისათვის, იყო თუ არა ესა თუ ის პროცედურა ჩატარებული დადგენილი წესით.

საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზაციები – აღნიშნული ტერმინი ეხება საკონტინენტთაშორისო ასოციაციების ნაციონალურ ოლიმპიურ კომიტეტებს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საკონტინენტთაშორისო, რეგიონური და სხვა საერთაშორისო სპორტულ მოვლენების ჩატარებაზე.

სინჯი ნებისმიერი ბიოლოგიური მასალა, აღებული დოპინგ-კონტროლის ჩატარების მიზნით.

ტესტირების მონაცემთა ბაზა – მაღალი დონის სპორტსმენების სიები, რომლებიც უნდა შემოწმდნენ დოპინგზე, როგორც შეჯიბრის, ისე შეჯიბრგარეშე პერიოდში. მონაცემთა ბაზა დგება ცალკე საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სპორტსმენის მონაცემთა ბაზაში შეტანის თავისი კრიტერიუმები. კრიტერიუმები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მაგალითად, ეროვნული ნაკრების წევრობა, რეიტინგის გადახედვა და სხვა.

უმნიშვნელო დანაშაული ან დაუდევრობა – სპორტსმენის მიერ მოწოდებული მონაცემები იმის შესახებ, რომ მისი დანაშაული ან დაუდევრობა, განხილული ყველა კრიტერიუმის და მდგომარეობის გათვალისწინებით, კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად.

შენიშვნა. მოცემული განსაზღვრება განმარტავს, რომ ყველა სპორტსმენმა, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე, უნდა დაიცავს ანტიდოპინგური წესები, მიღებული საერთაშორისო ფედერაციის და ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციის შესაბამისად. კოდექსით მიღებული ანტიდოპინგური წესები ეროვნულ დონეზე დაცული უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ეროვნული ნაკრების ყველა წევრის მიერ, აგრეთვე სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ნებისმიერ ნაციონალურ

ჩემპიონატზე საკვალიფიკაციო შეჯიბრის ყველა მონაწილის მიერ. გარდა ამისა, მოცემული განსაზღვრება შესაძლებლობას აძლევს ნაციონალურ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, საკუთარი შეხედულებისამებრ გააფართოვოს შესამოწმებელი სპორტსმენების სიები, მასში შედარებით დაბალი დონის სპორტსმენების ჩათვლის ხარჯზე. ყველა დონის სპორტსმენს უნდა შეეძლოს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ანტიდოპინგურ პროგრამებში მონაწილეობის მიღება.

ფალსიფიცირება – შეცვლა, გამოცვლა არაკანონიერი გზით, არაკანონიერი გავლენის მოხდენა, შედეგების შეცვლა ან გათვალისწინებული პროცედურების ჩატარებისათვის ხელის შეშლა.

ფლობა – რეალური, ფიზიკური ფლობა ან კონსტრუქციული ფლობა (რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ პერსონას აქვს აკრძალულ სუბსტანციებზე ან მეთოდებზე ექსკლუზიური კონტროლი ან აკრძალული სუბსტანციების ან მეთოდების ადგილსამყოფელთან მიუწვდება ხელი) მაგრამ იმ პირობით რომ, თუ პერსონას არ აქვს აკრძალულ სუბსტანციებზე ან მეთოდებზე ექსკლუზიური კონტროლი ან აკრძალულ სუბსტანციების ან მეთოდების ადგილსამყოფელზე არ მიუწვდება ხელი, კონსტრუქციულ ფლობას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა პირმა იცოდა აკრძალული სუბსტანციების ან მეთოდების არსებობის შესახებ და ჰქონდა მისი დაუფლების განზრახვა. ანტიდოპინგური წესების დარღვევად არ ითვლება ის შემთხვევა, როცა პირი, აკრძალული სუბსტანციებისა და მეთოდების უბრალოდ მფლობელია და მანამ, სანამ მიიღებს შეტყობინებას ანტიდოპინგური წესების ნებისმიერი დარღვევის შესახებ, კონკრეტულად იმოქმედებს იმის საჩვენებლად, რომ აღარ სურს აკრძალული სუბსტანციების ან მეთოდების ფლობა და უარს იტყვის მის მათზე.

შენიშვნა. ამ განსაზღვრებით, სტეროიდები, აღმოჩენილი სპორტსმენის ავტომობილში, ჩაითვლება დარღვევად იმ

შემთხვევების გარდა, როცა სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ მისი ავტომობილით სარგებლობდა სხვა. ასეთ შემთხვევაში

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს, იცოდა თუ არა სპორტსმენმა მის ავტომობილში სტეროიდების არსებობის შესახებ და აპირებდა, თუ მათ დაუფლებას. მაშასადამე, თუ სპორტსმენის საოჯახო ავთიაქში, რომელზეც ხელი მიუწვედებოდა

სპორტსმენს და მის მეუღლეს, აღმოჩენილია სტეროიდები, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს, სპორტსმენმა იცოდა სტეროიდების შესახებ და აპირებდა გამოყენებას, თუ არა.

ხელის მომწერი მხარე – სხვადასხვა სტრუქტურები, კოდექსზე ხელისმომწერნი და შეთანხმებულნი დაიცვან მასში გადმოცემული პრინციპები და წესები, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის ჩათვლით, აგრეთვე სხვა მსხვილი სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც თავისი შეჯიბრების დროს პასუხისმგებელი არიან ტესტირების ჩატარებაზე, WADA, საერთაშორისო ფედერაციები და ნაციონალური ანტიდოპინგური ორგანიზაციები.

შეჯიბრება – ერთეული გარბენი, გაცურვა, რბოლა, მატჩი, თამაში, ან ცალკეული მოვლენა მძლეოსნობაში მაგალითად, ოლიმპიური სპრინტის ფინალი 100 მ–ზე. მრავალეტაპიანი რბოლებისათვის, გარბენებისათვის და ა.შ. როცა თამაშდება ჯილდოების ბევრი კომპლექტი, განსხვავება სპორტულ მოვლენასა და შეჯიბრებას შორის, დგინდება მოცემული საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული, შესაბამისი წესებით.

შენიშვნა. შეჯიბრების დროს და შეჯიბრგარეშე ტესტირებებს შორის განსხვავება ერთობ მნიშვნელოვანია, ვინაიდან აკრძალული სიიდან თითოეული სუბსტანციის არსებობის შემოწმება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ შეჯიბრების პერიოდში. მაგალითად, აკრძალული სტიმულატორების არსებობის შემოწმებას შეჯიბრგარეშე პერიოდში აზრი არა აქვს, რადგან მათი მიღების შემდეგ ეფექტი მოკლევადიანია. თუ აკრძალული სტიმულატორი მთლიანად გამოსულია სპორტსმენის ორგანიზმიდან შეჯიბრების დღისათვის, მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ იგი აღმოჩენილი იქნებოდა შარდის სინჯში შეჯიბრების წინა დღეს ან შეჯიბრების მეორე დღეს.

წინმსწრები კონტროლი – დოპინგ-კონტროლზე, სპორტსმენის წინასწარ გაუფრთხილებლად ჩატარებული დონისძიება, რომლის დროსაც სპორტსმენი გაუფრთხილების მომენტიდან სინჯის ჩაბარებამდე იმყოფება ზედამხედველობის ქვეშ.

წინასწარ მოსმენები – მე-8 მუხლით ჩატარებული მოსმენების წინ, 7.5 მუხლით გათვალისწინებული სასწრაფო შემოკლებული მოსმენები, რომელიც სპორტსმენს უფლებას აძლევს იყოს მოსმენილი ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

წინასწარი დისკვალიფიკაცია იხილეთ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის შედეგები..